ნიკოლო მინიშვილი

ნმინდანიანი

შემდგენელი **მანანა ჩიტიშვილი**

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ქართული პოეზია

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISBN 99940-39-61-X (სერიის ნომერი)

ISBN 99940-39-83-0 (ნ. მინიშვილი)

© გამომცემლობა „ინტელექტი", 2006.

საშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმული

გასული საუკუნის 30-იან წლებში კაენის ხელით აგორებულმა სისხლიანმა ბორბალმა თავზარდამცემი შეუბრალებლობით გადაუარა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას, კულტურასა და მეცნიერებას. ქართული ინტელიგენციის არაერთი სახელოვანი წარმომადგენლისთვის „უდროოდ და საბოლოოდ დაეშვა შექსპირული ტრაგედიის ფარდა".

სხვებთან ერთად ეს შემზარავი ხვედრი „ცისფერი ყანწების" წევრმა, პოეტმა, პროზაიკოსმა და პუბლიცისტმა ნიკოლო მიწიშვილმაც გაიზიარა. ორი ათეული წლის მანძილზე მისი სახელი ტაბუდადებული იყო ჩვენი საზოგადოებისთვის, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდგომი თაობების დამოკიდებულება ამ საინტერესო და მრავალმხრივი შემოქმედისადმი. ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ნიკოლო მიწიშვილს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, დღესაც ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი.

ნიკოლო მიწიშვილი (ნიკოლოზ სირბილაძე) მხოლოდ სამწერლო საქმიანობით არასოდეს ყოფილა დაკავებული. იგი საოცრად ენერგიული და იშვიათი თაოსნობის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. ადრეული ასაკიდანვე ნ. მიწიშვილი ყველა

იმ ამბისა და მოვლენის შუაგულში ტრიალებდა, სადაც ქართული კულტურისა და ხელოვნების სასიკეთო საქმე კეთდებოდა: გამომცემლობის დაარსება იქნებოდა თუ ლიტფონდის, ქართველი პოეტების რუსულად თარგმნა და გამოცემა იქნებოდა თუ მსოფლიო ლიტერატურის შედევრების ქართულ ენაზე დასტამბვა, ქართველი ერის ბედ-იღბალზე ბობოქარი პოლემიკის წამოწყება თუ — ჩვენი მწერლობის ახალი გზებით განვითარებაზე ცხარე კამათი. ნიკოლო მიწიშვილი ამ საქმეთა უბრალო მონაწილე კი არა, ძალზე ხშირად თაოსანი და ორგანიზატორი იყო.

მის დაუცხრომელ ენერგიასა და განსწავლულობას განცვიფრებაში მოჰყავდა თანამედროვენი. **მიხეილ ჯავახიშვილს** *არაერთხელ აღუნიშნავს: „საიდანა აქვს ამ ტანმორჩილ კაცს ამდენი ენერგია, გამოცდილება და ცოდნა, ჩემთვის დღესაც გამოუცნობიაო“.*

ნ. მიწიშვილის საკმაოდ ორიგინალური პორტრეტი შემოგვინახა მწერალმა **დავით კასრაძემაც:** *„ნიკოლო მიწიშვილი მრავალფეროვანი ნიჭის პატრონი იყო: პოეტი, პროზაიკოსი, ბელეტრისტი, ჟურნალისტი და თუ გნებავთ, დიპლომატიც. ყველა ამას დაურთეთ თავაზიანობა, უსაზღვრო გულკეთილობა და მისი პორტრეტი ხელთ გექნებათ“.*

ნიკოლო მიწიშვილი სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ყმაწვილი იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. ქართული მწერლობით მის დაინტერესებას დიდად უწყობს ხელს **ყაუხჩიშვილების** უაღრესად ინტელიგენტური და განათლებული ოჯახი, სადაც დაბინავდა სოფელ ჯვარისადან ქუთაისში სასწავლებლად ჩამოსული მოზარდი. იგი დიდი მონდომებით ებმება ქალაქის მღელვარე ლიტერატურულ ცხოვრებაში და პირველ შესამჩნევ წარმატებებსაც აღწევს — 16 წლის ჭაბუკი აქვეყნებს ლექსებსა და მინიატურებს, 21 წლისა კი რედაქ-

ტორობს ქუთაისში გამომავალ გაზეთებს... 1918 წელს ნიკოლო მიწიშვილი უერთდება ცისფერყანწელთა პოეტურ ორდენს და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება, სისტემატურად თანამშრომლობს ქართველ სიმბოლისტთა ბეჭდვით ორგანოებთან: „მეოცნებე ნიამორები", „პოეზიის დღე", „ბახტრიონი", „ბარრიკადი", „რუბიკონი"... უკვე პირველივე ლექსებიდან და მინიატურებიდან გამოიკვეთა მიწიშვილის პოეტური ხელწერა — განწყობილების სიმძაფრე, შინაგანი ემოციური დაძაბულობა, ლაკონურობა, რამაც დიდად შეუწყო ხელი შემდგომში მწერლის თვითმყოფადი და ორიგინალური სტილის ჩამოყალიბებას.

თვითონ ნ. მიწიშვილი ასე აღწერს თავის პირველ პოეტურ ნაბიჯებს: „ ... *პოეზია გაბდა შინაარსი. უკანასკნელი და პირველი ხმიადი. პოეზია — ნუგეში, სურვილი, სიყვარული და სიმწარე საზღვარეული*".

ცისფერყანწელებთან დაახლოების შემდეგ ნ. მიწიშვილის შემოქმედებაში მკვიდრდება „უცნობი და გაუგებარი" პოეტური სახეები, არარეალური, დეკადენტური ხილვები, მელანქოლია, მარტოობა. ეს სულისკვეთება გამოსჭვივის ლექსებიდან: „ჩემი ვინაობა", „წმინდანიანი", „ავტოპორტრეტი", „ჩემი მწევრები", „ბალლადა მოგონილი", „წითელი გველი"... კოშმარულია პოეტის ხილვები — გადახსნილი თავის ქალა, „ძვლების რთველი", გაავერანებული სოფლები...

ნიკოლო მიწიშვილის ლექსებისთვის დამახასიათებელ ამ განწყობილებებს ტიციან ტაბიძე სიმბოლისტური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლების გაელენით ხსნიდა და იქვე სიამოვნებით შენიშნავდა: „ *ნ. მიწიშვილს აქვს თავისი საკუთარი სახე, რომელიც არასოდეს არავისში არ შეიცვლება, რაც უფრო აღსანიშნავია — თავისი თემა და ხმა*".

უდაოდ მართალი იყო ტიციან ტაბიძე, როცა მიწიშვილის ადრეულ ლექსებში მოდერნისტული სკოლის ანარეკლს ხედავდა, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებლად მხედველობაში იყო

მისაღები თვითონ ეპოქის რთული ხასიათი და ასეთივე რთული, წინააღმდეგობების შემცველი ლიტერატურული ვითარება, რაც დამკვიდრებული იყო საქართველოში მეოცე საუკუნის თითქმის 30-იან წლებამდე. ყველა ეს მომენტი, ერთად აღებული, იძლეოდა მწერლის შემოქმედების გასაღებს.

არსებული ვითარების გათვალისწინებით უნდა შევეხოთ ნ. მიწიშვილის ამ პერიოდის შემოქმედებასაც, რომელიც, მართალია, ძალზე მუქ ფერებშია გადაწყვეტილი, მაგრამ პოეტის განცდებს გულწრფელად გადაგვიშლის. *„ამ გზაზე არ იყო არც დრო და არც ადგილი დასვენების და რაც ჩემთვის მთავარია, არ იყო სიყალბე და კომპრომისი. პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს“* — წერდა ნიკოლო მიწიშვილი.

ახალგაზრდა ავტორის ამგვარი განწყობილებები ჭეშმარიტად მოდერნისტული ლიტერატურული მიმდინარეობების გავლენისა და მიმბაძველობის შედეგი უფრო იყო, რადგან სინამდვილეში, იგი არასოდეს მოწყვეტია ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებსა და ეროვნულ ნიადაგს.

მიწასთან, ბავშვობის ადგილებთან და სიყმაწვილის მოგონებებთან იყო დაკავშირებული ნ. მიწიშვილის ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებები, ამიტომ შემთხვევითი არ გახლდათ, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად „მიწიშვილი“ აირჩია. პოეტს ყოველთვის სწამდა მშობლიური მიწის მაგიური ძალის და სადაც არ უნდა ყოფილიყო, უჩვეულო მონატრებითა და საოცარი სიყვარულით ფიქრობდა მასზე.

ლექსების პირველი წიგნი — „წმინდანიანი“, 1922 წელს გამოიცა თბილისში. სიმბოლურია კრებულის სათაური, რომელიც ერთდროულად ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ედგარ პოს აშკარა გავლენაზე მიუთითებდა, იმ განსხვავებით, რომ ბოროტი ბედისწერის სიმბოლოდ, მიწიშვილმა, „შავი ყორანის“ ნაცვლად, „წმინდანიანი“ აირჩია. ავტორის გადმოცემით, წმინდანი-

ანი ლეგენდარული ფრინველია, რომელიც საუკუნეში ერთხელ ეცლინება ქვეყანას მზის ჩასვლის შემდეგ და ბინდში ცეცხლს ჰყრის ანთებული ფრთებით. „... *ნიკოლოზ ბარათაშვილი და ედგარ პო. ორი თემა „ყორანის", რომელიც მეჩვენება მე წმინდანიანად*".

გამოცემისთანავე წიგნმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა გალაკტიონ ტაბიძე. მართალია, მან მაღალი შეფასება არ მისცა კრებულს, მაგრამ მისი გამოცემა, როგორც ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი პირველი წიგნისა, დადებით მოვლენად მიიჩნია „*პოეტის პორტრეტის დანახვა შეიძლება მხოლოდ წიგნით... საერთოდ, „ყანწელებს" არ სჩვევიათ წიგნების გამოცემა... ნ. მიწიშვილის წიგნის გამოსვლას ამ მხრივ უთუოდ ჰქონდა აზრი*" – წერდა იგი 1922 წელს გაზეთ „ლომისის" ფურცლებზე.

მოწონებითა და ქებით შეხვდნენ „წმინდანიანს" ცისფერყანწელები. სიმბოლისტური გაზეთი „ბახტრიონი" მაღალ შეფასებას აძლევდა პოეტის პირველ ნაბიჯებს: „*მიწიშვილი ახალი კაცია პოეზიაში და მის წიგნში, მიუხედავად ზოგან ტრადიციული ფრაზებისა, ისმის საკუთარი რეკა. ამ რეკაში ვერცხლი ურევია*". შალვა აფხაიძე კი წერდა: „*ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაში არის შინაგანი გულწრფელობა და სიმართლე. მთელი მისი პოეზია არის საუკეთესო ილუსტრაცია, ან უკეთ, დოკუმენტია იმ სულიერი კრიზისის, რომელიც ახალი ეპოქის მიჯნაზე დამდგარ პოეზიას ახასიათებს. პოეტის ფესვი წარსულშია, ხოლო „ადამიანის" სახე წინ იყურება... პოეზია, რომელსაც დეკადენსის საკმევლის სურნელება სდიოდა, იყო გამომხატველი დარღვეული ეპოქის... ლექსები გამართული და ძლიერია, როგორც კომპოზიციით, ისე დეკორატიული მორთულობით*".

ერთი მხრიდან იყო მოწონება, პოეტის ორიგინალური სახის აღიარება, მაგრამ, ამასთან, იყო მეორე უკიდურესობაც, ამ წიგნს „წყეული წარსულის დაგვიანებულ გამოძახილად“ რომ მიიჩნევდა. თუ გავითვალისწინებთ ოციანი წლების სულისკვეთებას, როცა რევოლუციური კრიტიკის ღვარძლიან, უსაფუძვლოდ მტრულ დამოკიდებულებას ჩვენი ლიტერატურის აღიარებული ოსტატებიც კი ვერ გადაურჩნენ, გასაკვირი არ არის, რომ ახალბედა, დამწყებ მწერალს ასეთი რისხვა დატყდომოდა თავს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო კრიტიკის ერთი ნაწილის ასეთი ტენდენციური დამოკიდებულება ბოლომდე გაჰყვა ნ. მიწიშვილის შემოქმედებას და არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა მის პიროვნულ ტრაგედიაში.

მიუხედავად ადრეული პერიოდის საკმაოდ ნიჰილისტური თეორიული მანიფესტებისა და დეკლარაციებისა, ევროპულისგან განსხვავებით, ქართული სიმბოლიზმი არასოდეს მოწყვეტია ეროვნულ ნიადაგს და კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციებს. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა 1920 წელს, გაზეთ „ბარრიკადის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ნიკოლო მიწიშვილის სიტყვები: *„ქართული ლიტერატურის ყბამგარი თავი დღეს მეშჩანობის მედალიონშია ჩამჯდარი... ყოველივე ამის მიუხედავად ჩვენ გვიყვარს საქართველო და ქართული პოეზიის ალბუზზე მიჯაჭვულნი მაინც საქართველოში ვიწვით“*. პოეტი ცისფერყანწელ მეგობრებს „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმულებს“ უწოდებს და ამ სტრიქონების სიმართლეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

უცხოეთში, სტამბოლში, ქართველთა მონასტერში, 1922 წელს გამოიცა ნიკოლო მიწიშვილის მეორე წიგნი. ამის შესახებ ავტორი წერდა: *„დაიბეჭდა „შავი ვარსკვლავი“ — ჩემი პოემა, სტამბოლში რომ დავწერე. ისიდორე ქარსელაძემ ამიწყო, დამბეჭდა მონასტრის სტამბამ, ამიკინძა ვილაც ებრაელმა*

და ლელი ჯაფარიძემ მიშოენა ქალალდი ნისიად ბერძენი ვაჭრისაგან. ეს გრძელდებოდა მთელი თვე, მაგრამ წიგნი მაინც დაიბეჭდა. ესაა პირველი წიგნი ქართველი პოეტის, რომელიც დაბეჭდილა სტამბოლში". პოემა თავებად დაყოფილი ლირიკული ლექსებისგან შედგება, რომელთაც ერთ თემატურ რკალში აერთიანებს ღრმა სევდა სამშობლოს გამო, ფიქრი შინდარჩენილ ახლობლებსა და მეგობრებზე, სიყვარულზე... „შავი ვარსკვლავი" პოეტისთვის გლოვისა და მწუხარების სიმბოლოა. ამის შესახებ იგი თვითონვე წერს — „ნუ გაიხსენებთ ჩემს სახელს ავად, ბედი დამეცა გლოვის ვარსკვლავად".

მიუხედავად იმისა, რომ მეორე წიგნი ოსტატობით, მხატვრული დონით, თემატიკით, წერის რეალისტური მანერით გაცილებით მაღლა დგას „წმინდანიანზე", მასში მაინც ჯერ კიდევ ძლიერია პესიმიზმი, თუმცა ეს უკვე ობიექტური ფაქტორით — სამშობლოდან დაშორებით არის გამოწვეული.

„ვაცილებით მეტი სიწმინდე, გამჭვირვალობა და დაუფლებაა ლექსის როგორც ტექნიკის, ისე შინაგანი ძარღვის მხრივ პოეტის მეორე წიგნში „შავი ვარსკვლავი". მთელი ეს წიგნი პოეტის გულის ერთი ნატეხია... ეს არის მოთქმა საკუთარ მიწას, ცას და ჰაერს მოწყვეტილი ადამიანის, სადაც ცრემლი ჯვარზე გაკრულ ქრისტეს თვალებზე მიმხმარ ცრემლებს წაგავს... მეგობრების, დატოვებული სიყვარულის ფონზე წამოიჭრება პრობლემა საქართველოსი, ამ პრობლემის უშუალო განცდაა მოცემული „შავ ვარსკვლავში" — წერდა შალვა აფხაიძე.

და მართლაც ხმამაღალი ტირილივით ისმის პოეტის სტრიქონები: „გქონდა სამშობლო საყვარელი და მიატოვე, რად გენანება დახლეჩილი შენი თვალები..." პოეტის აზრით, არსად არ არის შენდობა და ნავსაყუდარი მისთვის, ვინც „ილბალი გააბრაზა სამშობლოში", „სოფლის საყდარზე მიატოვა თავის მერცხალი".

1922-1925 წლებში ნიკოლო მიწიშვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს და აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 1924 წელს იგი პარიზში აყალიბებს „ქართველ ხელოვანთა კავშირს", რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ხელოვნების აღიარებული ოსტატები: დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, სანდრო ინაშვილი და სხვები. სულ 13 კაცი. ქართველი ერის ამ საამაყო შვილებისთვის სიტყვა „სამშობლო" უცხოეთშიც უწმინდეს ცნებად რჩება და ამ დიდი სიყვარულით გულგასენილნი ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდისათვის თავდადებით ილვწიან.

„კარიდან კარზე მოხეტიალე" პოეტის ცრემლიან, ნატვრით სავსე თვალებსაც ყველაზე ხშირად საქართველო ელანდება. ამ განცდითაა დაწერილი ლექსი „საქართველოს მზიან სერებზე", რომელიც არა მარტო სინაზითა და გულწრფელობით, არამედ, პირველ რიგში, შემოქმედის ოსტატობით, სიტყვის მაღალნიჭიერი ფლობით გვაინტერესებს:

დაჰბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გავყვები ჩქარა —
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად ავეკიდე კარიდან კარა.

გადამეშლება წარსული დღენი,
პოეზია და ცივი თითები.
გადამიარენ, ვით ამორძლები,
ამბები, ზღვებით განადიდები.

მაშინ გავიწევ ცისკენ ცერებზე,
გავიმართები, გულს გავაქორებ
და საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავაგორებ...

1924 წელს საქართველოდან შორს, პარიზში, სანთელივით ჩამოიქნა მაღალი შემოქმედებითი ოსტატობით, დიდი გრძნობითა და ღრმა ემოციურობით დამუხტული სტრიქონები:

ო, საქართველოვ, წიგნო, ჩუმად გადასაშლელო,
გულისცემაში ჩასრესილო, სიკეთევ წმინდა.
შენი წყლულებით მინდა გული მეც ავაჭრელო,
შენი სახელით გახარება ათასჯერ მინდა.

დიდი ტრფიალის მეც დამადგი მძიმე უღელი,
გასწონე გული სიყვარულის მწივანა ისრით —
მე თავმოჭრილი, წამებაში შეწუხებული,
გეამბორები, სახსოვარო, სისხლოვან კისრით.

საფლავის ლოდზე ამოჭრილ ეპიტაფიასავით იკითხება ნიკოლო მიწიშვილის განწირულებით სავსე სტრიქონები: „ღმერთო, უშველე შენს მონას ნიკოლოს, რომ არ მოკვდეს, არ დაეცეს, არ ჩაიქოლოს“.

„უცხოობაში“ სულიერად გატეხილი პოეტი გადარჩენის იმედს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებში ეძებს და სასოებით ეფერება დიდი რუსთველის უკვდავ სახელს:

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მეფე
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.
ვის გააგონოს საქართველომ ტირილის ხმები?
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის უღვთო თარეში?

საქართველოს ბედს რუსთაველი მარტო განაგებს,
მარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.

ნიკოლო მიწიშვილი, საერთოდ, უფრო მძაფრი სულიერი ტკივილების გამომხატველი პოეტია, ვიდრე ნაზი ლირიკოსი, მაგრამ ბედნიერი გამონაკლისები მაინც გვხვდება მის პოეზიაში. მშვენიერი პოეტური სახეებით, დიდი სიფაქიზითა და გულწრ-

ფელობით გამოირჩევა ლექსი „სიყვარულს“, რომელიც გრძნობების ნატიფი გადმოცემით, სულიერი სიფაქიზით, ამაღლებული განცდით, შესრულების სიმსუბუქითა და ოსტატობით, არაჩვეულებრივი მხატვრული ძალის ფინალით, ქართული სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს არ ჩამოუვარდება:

ეგვიპტიდან მოტანილი ყალამუს,
ატირება დავრდომილი რითმების.
ვიცი — ბედი ჩემზე არ დაითმების,
არც ნაღველი ელირსება მალამოს.

შენ გნახულობ კარის ეკლესიაში,
სადაც სწირავს დეკანოზი დიანოს,
განმიკითხე შენს მონათა სიაში,
ან მივიღებ რჯულს სამაჰმადიანოს.

გეძახი და კი ვერ გაგემხილები,
მემატება საწყენი საწყენზედა.
მესიზმრება შენი ოქროს ღილები —
ღვთისმშობელო, მიმინოთი ცხენზედა.

ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია ლექსი — „ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა არა მხოლოდ მის შემოქმედებაში, არამედ მთელს იმდროინდელ ქართულ პოეზიაში.

პოეტმა ჩინებული ოსტატობით, არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით დაგვანახა გაორებული პიროვნების ტრაგედია, მისი გარდუვალი მარცხი ბედისწერასთან ჭიდილში — იგი სიკვდილის შემდეგაც ვერ ელირსება შენდობასა და გამართლებას.

ტრაგიკული იყო ბედი შამილის მოღალატე ნაიბის, ჰაჯი მურატის, დაღესტნის აჯანყების მონაწილეებს რომ განუდგა და რუსებს მიემხრო. ცოტა ხნის შემდეგ კი კვლავ მშობლიურ

მთებს მიაშურა, მაგრამ პატიება ველარც აქ ნახა და ასე, ორივე მხრიდან მოლალატედ ჩათვლილმა, დაასრულა სიცოცხლე.

აჩქარებულად, დინამიურად და ძალზე ლამაზად იწყება ლექსი იქიდან, როცა ჰაჯი მურატის მოკვეთილი თავი თბილისისკენ მოაქვს „შავნაბდიან“ მხედარს. „შ“ ბგერის ალიტერაცია პირველივე სტრიქონში უკვე რაღაც იდუმალის განცდას, შემაშფოთებულ განწყობილებას იწვევს და მკითხველსაც ასეთივე მოლოდინით მუხტავს:

შემახის გზაზე ვიღაც შავმა, შავნაბდიანმა,
შუაღამისას დასძრა შავი ყარაბახული.
და თბილისამდე ბედაურმა ორბის ფრთიანმა
გასცვითა ნალი, ამ დღისათვის შემონახული.

არც ღამე იყო, მაგრამ თითქოს არც თენდებოდა,
როცა მხედარმა სასახლეზე მოაგდო ცხენი,
და უმალ, თუმცა ფეხზე დგომა უძნელდებოდა,
კნიაზ ნამესტნიკს წარუდგინა ხურჯინით ძღვენი.

ლექსში, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალების ხაზგასმა და შემჩნევა, მომხდარი ამბის უშუალო მონაწილედ და მხილველად გარდაქმნის მკითხველს. სწორედ ამ დეტალების გამოკვეთა ამძაფრებს მოქმედებას და ხატავს მთელი ამაზრზენი ცერემონიალის დაუვიწყარ სურათს:

გადასცა წიგნი, შეისწორა ხანჯალი ბასრი,
დასწვდა ამანათს — მოარიდა ლაპარაკს ყური.
მან ამოიღო გაფერილი სპილენძის კასრი.
მერე წამოდგა და ასეთი ახსნა სურათი:
„მოჭრილი თავი მოგართვითო, ჰაჯი მურატის“.

ღია ფანჯრიდან ქარმა შუქი დაბარბაცა,
ბაღში აპრილის გაისუდრა ტკბილი ტაროსი,
და მოკლე ფრაზამ, ინგლისურმა, გასჭრა დარბაზი:
„ჭკუამ დაღუპა ეგ ბარბაროსი“.

არავის დაუნანებია „ხუნძახელი ჰამლეტი“, ორივე მხრიდან მოღალატედ ჩათვლილს არ გამოსჩენია თანამგრძნობი და დამტირებელი:

ამ სისხლისათვის ცრემლს შამილი არ იმეტებდა:
გამყიდველმაო ღირსეული ჰპოვა ნათესი,
და ვორონცოვიც, წინათ სხვას რომ აიმედებდა,
ასე ფიქრობდა: სისხლიაო მოღალატესი.

- - - - - -

აქედან ვხედავ, ამბობს იგი: ბრძოდე, იწვოდე,
გაგსრისოს, დეე, ჭრილობებმა სისხლიან ფარცხით,
მაგრამ, თუ იბრძვი — სამუდამოდ უნდა იცოდე:
გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით.

იქნებ ეს ლექსი, პოეტის აღსასრულამდე ორი წლით ადრე რომ დაიწერა, ერთგვარი გაფრთხილება და მოსალოდნელი უბედურების წინასწარმეტყველება იყო შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ნაწილისთვის, ვინც, გარკვეული მცდელობის მიუხედავად, ვერც წარსულის ხელაღებით უარყოფა შეძლო ბოლომდე და ვერც ახალს შეეთვისა, იქნებ ეს საკუთარი ტრაგიკული ხვედრის წინასწარმეტყველებაც გახლდათ, „ჟამმა უნდობარმა“ სხვებთან ერთად მასაც რომ არგუნა. განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ჰაჯი მურატი საკუთარმა გულზვიადობამ დაღუპა, ისინი კი გაუგებარი ქარტეხილებისა და რევოლუციური „წითელი ტერორის“ მსხვერპლნი იყვნენ, მაგრამ შედეგი — გარდუვალი და საზარელი — მაინც ერთი იყო.

20-იანი წლებიდან მოყოლებული საბედისწერო რკალი ნელნელა იკვრებოდა ქართული ინტელიგენციის გარშემო. 30-იანი წლების შუა ხანებიდან გამწვავებულმა რაპპულმა იდეოლოგიამ, არაჯანსაღმა და მტრულმა ატმოსფერომ მძიმე კვალი დააჩნია მთელ ქართულ მწერლობას.

ეს იყო პერიოდი, როცა გალაკტიონ ტაბიძეც კი იძულებული გახდა განეცხადებინა: *„მე ვიცი, რა უნდათ მათ, როცა ამბობენ, რომ მე თითქოს შევიქენი გასარიცხი, ყველასგან ათვალისწუნებული პიროვნება, რომ მე ადგილი არ უნდა მქონდეს საზოგადოებაში, მაგრამ რა გზით მივდივარ, ეს იცის მთელმა საქართველომ. მე მშვენივრად ვიცი, რა უნდათ ჩემგან, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჯვარზედ ვარ გაკრული“.*

კრიტიკის უსაფუძვლო, ღვარძლიან თავდასხმას განსაკუთრებით ყოფილი ცისფერყანწელები განიცდიდნენ. მართალია, „ცისფერი ყანწები“, როგორც სიმბოლისტური სკოლა, კარგა ხანია აღარ არსებობდა და მისი ყველა წევრი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით გულწრფელად იდგა ახალი საქართველოს მხარეს, მაგრამ პროლეტარული მწერლობის ერთი ნაწილი მათ შემოქმედებას კვლავ ჯგუფური თვალსაზრისით განიხილავდა და „ძველი აზრების ერთგულებას“, „წარსულში დარჩენას“, „უიდეობას“ უკიჟინებდა.

კრიტიკის უსაფუძვლო თავდასხმები გაძლიერდა ნიკოლო მიწიშვილის წინააღმდეგაც. ჩრდილში დარჩა მისი დიდი დამსახურება, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა.

ნიკოლო მიწიშვილმა ბაგრატიონის ასულზე დაიწერა ჯვარი, იგი არც კომუნისტური პარტიის წევრი ყოფილა და ბუნებრივია, ამ გარემოებებმა უმნიშვნელო როლი არ ითამაშეს ტრაგიკული ხვედრის მოახლოებაში.

მიწიშვილის უკანასკნელი საჯარო გამოსვლა მოხდა 1937 წლის 7 მაისს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. უჩვეულოა პოეტის მიერ წარმოთქმული სიტყვა – არსებული ვითარების ღრმა და ობიექტური ანალიზით, მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობით, ნერვიული დაძაბულობით. ულმობელი, საზარელი სიმართლე ღაღადებდა ამ სხდომაზე მწერლის პირით. მცირე ხანში სისხლისმღვრელი „დუბინა“ მართლაც დატრიალდა ქართულ მწერლობაში.

დიახ, ეს იყო 1937 წლის 7 მაისს, 2 ივნისს კი იგი დააპატიმრეს (13 ივლისს ნიკოლო მიწიშვილი დახვრიტეს); 22 ივლისს მწერალთა კავშირის ბაღში თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა; 14 აგვისტოს დააპატიმრეს მიხეილ ჯავახიშვილი, 9 ოქტომბერს კი – ტიციან ტაბიძე. როგორც მომავალში გაირკვა ისინი დაპატიმრებიდან მალევე დახვრიტეს.

არ დასცალდა ნიკოლო მიწიშვილს შემოქმედებითი მოწიფულობის პერიოდის დასრულება, სათქმელის ბოლომდე თქმა.

კარგა ხანს იყო ჩრდილში ნიკოლო მიწიშვილის სახელი და შემოქმედება, კარგა ხანს აკლდა ჩვენს ლიტერატურას მისი პოეზია, პროზა და პუბლიცისტიკა, მაგრამ დრომ, უტყუარმა და პირუთვნელმა მსაჯულმა უდანაშაულო მწერლობას და მათ შორის, მიწიშვილსაც, ჩამორეცხა ჯალათის სისხლიანი ხელით დაჩნეული დამღა.

წინამდებარე კრებული არ წარმოადგენს ნიკოლო მიწიშვილის პოეზიის სრულ გამოცემას. იგი პოეტის დაბადებიდან 110 წლისთავს ეძღვნება და მასში რჩეულ ლექსებთან ერთად წარმოდგენილია მინიატურებიც, რომლებიც ავტორის სიჭაბუკეში, 1914-1916 წლებშია შექმნილი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურაში ძალზე პოპულარული ხდება მცირე ფორმის პროზა, განსაკუთრებით კი – მინიატურა. ქართულ სიმბოლიზმს პოეზიის ცნება გაცილებით ფართო გაგებით ესმოდა. სანდრო ცირეკიძე თვლიდა, რომ „პოეზია არის განცდა“ და მისი გადმოცემა შეიძლება „სონეტით, პროზით, სიმფონიით“. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამართლებულად ჩავთვალოთ მინიატურების გამოქვეყნება აღნიშნულ კრებულში.

ნიკოლო მიწიშვილის მინიატურების ენა დახვეწილია, წინადადებები მოკლე და სხარტი. ამასთან, შესამჩნევია ავტორის პოეტურობა, გრძნობათა სიწრფელე და ლირიზმი, მშვენიერე-

ბისა და სილამაზისკენ დაუცხრომელი სწრაფვა. ნიკოლო მიწიშვილის მინიატურები თავისუფალი არ არის გავლენებისაგან, რაც სრულიად ბუნებრივია ახალგაზრდა, 18-19 წლის შემოქმედისათვის.

ნიკოლო მიწიშვილის ნაღვაწი თავისი სრული სახით ჯერ კიდევ ელის მკითხველთან შეხვედრის სიხარულს, თუმცა დიდი ნაწილი ამ შემოქმედებისა, კარგა ხანია გულწრფელი ინტერესით მიიღო და ჯეროვნადაც დააფასა ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამ და სიტყვაკაზმული მწერლობით დაინტერესებულმა საზოგადოებამ.

შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს მონატრების ის დიდი შინაგანი ცეცხლი, ის ზღვარდაუდებელი სიხარული, რომლითაც ჯერ კიდევ ათეული წლების წინ უბრუნდებოდა მწერალი მშობლიურ კერას და მიწა-წყალს. ევროპიდან გამომგზავრების წინ ნიკოლო მიწიშვილი უჩვეულო მღელვარებით წერდა:

„შინ. შინ. სახლისაკენ. ჩემო მიწა და ჩემო თავსაფრიანო დედა. ზარებმა შეწყვიტეს თურმე რეკვა ჩვენს სოფელში, მაგრამ ხარები ისევ ბღავიან ჩვენსას, ჰკოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს“.

ნიკოლო მიწიშვილის პოეზიაც, ხანგრძლივი განშორების შემდეგ, ასეთივე განცდით დაუბრუნდა თავის მკითხველს და ამ პოეზიის სითბო და სურნელი მარად იტრიალებს მის მამულში.

მანანა ჩიტიშვილი

მთებში

მსურს, ხალხს მოვშორდე, მსურს,
წავიდე აქედან შორა,
სად არ არსებობს არც თანხმობა, არც სიყვარული,
სადაც სინათლემ ბევრს სიბნელე ვერ მოაშორა,
სად ერთი ხარობს, მეორეს კი უკვდება გული.

მინდა ამგვარსა სურათებსა ვაშორო თვალი —
მათი ცქერა სულს მიშფოთებს მე, გული მიკვდება...
თუმცა მოითხოვს ჩაგრულთ შველას კაცისა ვალი,
მაგრამ არ ძალმიძს მე ამის ქმნა... რა გაკეთდება?

და ამისათვის მოვისწრაფი მე თქვენსკენ, მთებო,
რომ დავივინყო მთელი ტანჯვა ჩაგრულ გულისა,
რომ გაგაქარვო, მწვავე სევდავ, გულზე ნადებო,
და დაგივინყო შენცა, ხვედრო დაჩაგრულისა...

უკვე მთებში ვარ... ირგვლივ ტყეა ამწვანებული...
იქ, შორს მთის წვერი თოვლიანი მზეზე პრიალებს...
აგერ ნაპრალი — ძირს ვერ ხედავ... ჩაბნელებული,
იქ კი ნაკადი მოლიკლიკებს, ძირს მოჩხრიალებს...

უცბად შევჩერდი... მე, ნაკადი, რა განსხვავება...
ვთქვი, თუ სად მირბის მთების შვილი ანკარა, წმინდა?
ბარად, სად არის მხოლოდ ტანჯვა, ტირილ-ვაება,
უგულო ხალხთან, ძირს, სად ყოფნა ასე არ მინდა?

მიველ და ვუთხარ, მოცისკროვნე ცრემლო მთებისა,
რომ მიისწრაფი, ნეტა იცი, რა გელის ბარად?
შეგიერთდება შენ ტალახი ნაპირ-გზებისა
და შენს სინმინდეს, სისპეტაკეს დაკარგავ მარად.

ნაკადმა თითქოს გაიგონა ჩემი სიტყვები,
მაგრამ არ შედგა.
შხეფთა სრბოლით გზას განაგრძობდა:
აქ მას ხვდებოდა კლდე, ნაპირი, იქით ბორცვები
ხმაურობდა და ჩემ პასუხად ამას ამბობდა:

„დიახ! მივდივარ დაბლა წმინდა ნაკადი მთისა,
რომ შევუერთდე სხვა ნაკადებს — გავხდე მდინარე,
და შორს წავიღო მე ტალახი ამა ქვეყნისა...
გრილი ტალღებით გადავბანო ტანჯული მხარე.

და ამისათვის ქვევით ჩქარა მისთვის მივრბივარ,
რომ მივეშველო ბარში მცხოვრებს, რომ მივეხმარო,
რომ მშრალი ყელი შრომის შვილთა მე გავუსველო
და მათი ტვირთი მეც წავიღო, გავიზიარო".

წამსვე დავბრუნდი, რა მომესმა ესე სიტყვები...
ხალხს დავუბრუნდი, მთებიდან მე დავეშვი ბარად,
იქ, სადაც ისმის შემზარავი ტირილის ხმები —
ცრემლი სიცილზე რომ შევცვალო, ვეცდები მარად...

1912

ჩვენ – „ცისფერი ყანწები"

მარად ლექსები. პოეზია. გადაქანება.
საქართველოს კი დაუბერა ციებამ, სურდომ,
ჩვენ პოეზიამ თავი მაინც ვერ დაგვანება
და ვერ გაგვტეხა შემოსეულ სიკვდილთა ურდომ.

სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმულები,
ფეხზე ვიკიდებთ ჰენიოსთა დაფნის გვირგვინებს
და როცა ქვეყნის აღსასრული ჩამოიგრგვინებს,
ჩვენ გავიცინებთ თეთრ ფერებში გადაცმულები.

ჩვენ ლექსებს დავწერთ, ავტირდებით და ავატირებთ,
ჩვენი დარტყმული ამ ქვეყანას დარჩება ლარი,
თვალწამოვარდნილ საქართველოს გადვინადირებთ
და ჩვენს ძეგლებზე აინთება ლოცვის ოლარი.

ჩემი გინაოგა

ასე იტყვიან ეს არისო ურჩი, ურნმუნო.
და არ იციან ჩემი ფიქრის მადა მშიერი.
მე გლეხთა მოდგმის წამებული ვარ ნაშიერი
და მინდა გავხსნა ჩემი ბედი გადალურსმული.

ასეულ წლობით ჩემი გვარი იყო მჭედელი
და მას ბეგრავდა მღვდელი ვინმე დოსითეოსი.
დათვის ფეხებზე ჩვენ ვიდექით, როგორც კედელი,
ყოველთვის სათნო, ღონიერი და გულთავაზი.

საცეხველსავით გვემხობოდა მრავალი წლები.
მძიმე ტვირთის ქვეშ იხრებოდა მჭლე თეძოები.
ჩვენით ყვაოდა სხვისი მზე და სხვა ეზოები.
და ჩვენი თესლი ნუთუ ასე გამოიცლება.

ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ საბედნიერო.
ვერც მე შევინდე ძველი ცოდვა, ძველი ბეგარა.
მრავალი შემხვდა ტირილი და ცრემლი ხნიერი
და უბედობამ წამაქცია, დაუდეგარმა.

მე ჩემი გვარი ფარულადაც ვერ გავასაღე.
და აღარ მშველის ჩემი სიტყვა, მუდამ ხათრული.
თუ დახნულია ნაადრევად ეს ჩემი სახე —
გულიც ასე მაქვს ნამებისგან გამოღადრული.

მე აღარ მშველის ჩუმი ლოცვა და ქრისტეს მადლი.
ნასროლ ქვასავით მე არ ვიცი სად დავვარდები.
ტვინის ფულუროს ანადგურებს მსუქანი მატლი
და ჩამომწივის — რომ ჯოჯოხეთს გადავბარდები.

ნამომეშველეთ, მეგობრებო, ვეღარ გავძელი.
თუ ვერა მხედავთ — ჩირაღდანი ჩამასვეთ გულში.
ნახეთ, თუ როგორ იგრიხება სიცოცხლე გრძელი
და ისე ხმება, როგორც ფშალა გვიან ზაფხულში.

1922

გალერიან გაფრინდაშვილს

პოეტს, რომელმაც წაიკითხა ჩემი პირველი ლექსი. ერთ კრიტიკულ წერილში მე ვ. გაფრინდაშვილს დავარქვი კათოლიკური აბბატი. ყველა ახალგაზრდა პოეტი მიდის მასთან აღსარებით.

კიდევ გადავშლი, გადავშლი კიდევ
განიავებულ დღეთა ფურცლებსა.
და უფსკრულებზე გადავეკიდე
ვით გავეკიდე განწირულ წლებსა.

თუ როგორ პოეტს და კათოლიკეს
მივართვი ლექსი ფეხაუდგმელი.
შემდეგ ქარებმა როგორ დალეკეს
სიყვარული და სიტყვა უთქმელი.

თუ როგორ, შემდეგ, გულის ფიცარზე
გადაშენება მან დამაწერა.
როგორ მაფიცა დასაფიცავზე
და გამილარა გზა — ალმაცერა.

ან, ბრონეულის სიტყვათა წყარო
თეთრ ღამეებზე გადაღვარული.
ძმაო, ძვირფასო, დაუვინყარო...
პოეზია და ზღვა სიყვარული...

თუნდაც აავსოს ზღვამ დარიალი...
თერგის ყივილი მთამ გააჩეროს —
იქნები მუდამ შენ ტარიელი
და მეგობრობის დააფენ ჩეროს.

მაგრამ პოეტმა რვალის თვალისმა
შეგაქო ლექსით ვერცხლის მქონეთი.
ასე დააცხრა თუჯს ფალკონეტი.
ასე ატირა ცა — ნოვალისმა
და ჩემი ლექსის სუსტმა ალიზმა,
ვით დაიკვეხოს შოთას ღონეთი.

1922

სურათი

არ მყავს არავინ.
ჩავესვენე, როგორც დაისი.
მნარე დღეები გულს მიღარავენ
ასე მივდივარ — უდაბნოში თეთრი ტაისი.

მე სიყვარულის დახეული გავხდი ნერილი.
უძლური ვარ ჭიანჭველაზე.
არ ვნატრობ შველაზე —
ცხელი უდაბნოს ცხელი ქვიშით ფეხდასერილი
წამერთვა სიამე.

ასეთი ვარ სიყვარულით ბრმობილი
ყმა, ბატონისგან სხვაზე დათმობილი
და კომლიანი ფუჟი-იამა:
მიკადოს ქვეყანაში უნაზეს ფერებით
ქალები, რომ ხატავენ, მოფერებით.

1922

დღეს

დელია ოდელია დელია,
ზეიმობს — სამშობლო მწვანეთი,
ძველ კახეთს მოუხმობს გურია,
იმერეთს ეძახის სვანეთი.

ზარები მღერიან ქალაქში,
სხვაგვარად მღერიან ზარები,
სამშობლო მოუცავს სიხარულს,
გამთბარა ძველად ნამწარები.

დაფნა და ვარდები — სამშობლოს,
დასწნავენ შვილები გვირგვინებს.
დადგება ამინდი მზიანი,
ჩვენს ცაზე მეხი არ იგრგვინებს.

სიხარულს, სიყვარულს ქვეყნისას
ვერ იტევს დღეს ჩვენი მკერდები,
მზიანო სამშობლოვ, იხარე,
ჭაბუკო — შენ არ დაბერდები.

იქნები, შენ აღარ მიჰქრები,
ინათებს სულ შენი ლამპარი.
შენია მთლად ჩვენი ფიქრები
და ჩვენი მკერდები დამფარი.

ზარები მღერიან ქალაქში,
ზეიმობს სამშობლო მწვანეთი.
ცხელ კახეთს მოუხმობს გურია,
ხელს უწვდის იმერეთს სვანეთი.

1919 წლის 26 მაისი.

ჩემი მწეგრები

თვალწინ მიდგია ტვინის სკივრი გათეთრებული.
შიგ ჩახლართულან შხამიანი თეთრი გველები.
ყვითელი ტვინის სიბრაზისგან გაფითრებული
გახუნებული ვით ქაოსის დანახველები.

სხვა ქვეყნის ჩრდილი ჩემს გონებას გადაეფარა
და აღარ მესმის შორეული ქვეყნის ძახილი.
ღმერთმა რაც მომცა, რაც მოვსტაცე და რაც მებარა
შორს გადვისროლე და დავარქვი ჩემი სახელი.

ამაოთ მოვლენ შეღამებით თეთრი ბებრები,
რომ ჩემი ტვინით ამოლესონ სარკოფაგები:
ადრე აუშვი დამშეული ფიქრთ მეძებრები
და საუკუნეს ავადევნე ვით ქოფაკები.

ოქროს ფოცხვერებს ტყეში სდევენ ჩემი მწევრები
და ჩამოგლეჯენ უკვდავების ზღაპრულ ფაფარსა.
ვერ დაეწევა მათ სიკვდილის შავი მდევრები
და ვერსად ჰპოებს დროთა რიცხვი თავშესაფარსა.

ჟამთ ჩქარებაში ჩემს დამპალ ტვინს ჩაეძინება.
ჩემი მწევრები კი ქაოსში აყეფდებიან.
ჩემს აკლდამაში მოხუც ჰამლეტს ჩაეცინება,
მაგრამ წასვლისას მეძებრები კარს დახვდებიან.

გაწყდება ძაფი საუკუნის, ძნელი სართველი.
ბრაზმორეული დრო სივრცეში გადაერევა:
გაიმართება ჩემს საფლავზე ძვლებისა რთველი —
ყბაშეხვეული საუკუნე გადაირევა.

1918

ბანწირული სტრიქონები

ქვრივ ოთახებში მაშინებს ღამე
        მკვდარის სიჩუმის შავ გარინდებით.
უბედურება ტრიალებს სახლში
        და მემუქრება მხუთავ ბინდებით
უძილო ღამით, მარტოობაში
        ყურებთან უკრავს დაფ-დაირები...
მოდის ვიღაცა ორკუზიანი
        და წამჩურჩულებს — „გადაირევი"...

„გადაირევი" — ყვირიან ხმები,
        და ამ ძახილში სული გადახმა.
მე გადავწყვიტე ჭკუის საზღვარი,
        გადავიარე ჭკუის გადაღმა...
„მოკვდები ღამით" — მეძახის ქარი —
        შეგხვდება ზარით შენ ხვალ ტაძარი.
ბრმა ბედის ხელი მოსჩანს კედელზე
        და მაგონდება მე ვალტასარი.

აბორგებული გადავალ ქუჩად,
        რომ გავიქარვო გულთა ურვანი.
მე ისე ვსეტყვავ ფიქრთა წყاროებს,
        ვით დამარცხებულ მტერს ყრუ-მურვანი.
შენაჩვენები დავდივარ ღამით.
        რისხვით მექადის ყრუ სართულები.
„გადაირევი" — სისინებს ქარი...
        „გადაირევი" — სტვენს მავთულები.

* * *

როდესაც ვითვლი კბილებს ჩაცვენილს
და შეუძენელს კეთილს ქონებას,
ვხედავ სიცოცხლეს — კუბოდ ჩაწვენილს,
ჩემი ტირილის არ გაგონებას.

როცა ვიგონებ დუელს ნაგებულს
და შემოსეულს ნაოჭებს თვალთან,
გულს, სიყვარულად გაფარდაგებულს
და მისვენებულს შავ დედოფალთან, —

მინდა იმედი საქართველოთი,
მშობელი ქვეყნის მძლავრი ტბორება...
და ნაცვლად მისა, რასაც ველოდი
ციებიანი დგება ზმორება.

მხოლოდ ფიქრები შორს დარჩენილი
ჩემი ილბალის უხვი წყალობა —
არიან გულზე გადაბჯენილი
და მანუგეშებს მათი გალობა.

ერთია — ფიქრი, ვით აბრეშუმი,
რბილი და თბილი ძმებზე ჩაკრული
და მეორე კი — ყოველთვის ჩუმი
ჩემი ნამება თვალგადაკრული.

1922

* * *

სადა ხართ, ძმებო. ბრმა ამხანაგი
ვით დაიღუპოს ადრე და მალე.
რად მომეშალოს თქვენი ბანაკი.
ბედნიერებავ, სად დაიმალე?

იქნებ, ძარღვებში სისხლის მაგიერ
მართლა ვაება მქონდა ჩაცრილი.
იქნებ ჩემი გზა სიეშმაკეა
დაბადებიდან თვალზე აცრილი.

მაშ სიყვარულმა ჩემი ტრირემა,
რად დაარღვია და გააფინა.
ედელვაისი. დიანა. ფრინა,
თუთიყუში და ნარბი ირემის
რად მომაშორა, რად გააფრინა...

1922

გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაფარიძეს

ყოველთვის, როცა მომენატრება
პოეზია და თქვენი ხსენება, —
დგება ზამთარი წინ ნაადრევი
და ალკას თეთრი გამოსვენება.

ალკას საფლავზე სხვა მადრიგალი.
კვალად ზამთარში რგვალი მაგიდა.
პლანეტარული მწვანე გრიგოლი
გადმოღვარული მთვარის ბაკიდან.

გამოკვეთილი მთვარის ქვისაგან
მერიდიანზე რეკავს რეკვიემს —
„ვერვინ დაგვიხსნის დაღუპვისაგან,
და შიში ფიქრებს დაგვარეკვიებს...

ქვეყანა ინვის, ქვეყანა კვდება,
მზეს ჭრილობები შემოესია.
უკანასკნელი ამბავი ხდება —
სივდება მინა და პოეზია“.

ცივ სასტუმროში სუქდება შიში:
ღმერთო ძლიერო და სასწაულო —
გადაარჩინე პოეტთა ჯიში...
დგება პაოლო.

1922

დეკემბრის აგონია

გარეთ ქარია. დეკემბერი უკრავს ჭიანურს.
და თეთრ ქალწულებს გაუმართავთ მინდვრად ბალეტი.
ჩემს ოთახში კი ფავნი ლოშნის დამთვრალ დიანოსს
და ეშმაკურად იყურება ლურჯ სათვალეთი.

მე ყაჩალივით მაფრინდება მუხლებში დამბლა
და გახურებულ მარწუხებით ალურჯებს ძარღვებს.
უცნაურ ფიქრმა ხერხემალი სულ დამიდამპლა.
თავის ქალასაც ეს ფიქრები მალე გაარღვევს.

და მეშინია. მეშინია, ო, მეშინია.
ჩემი სახელი გუშინს აქეთ სულ მავიწყდება.
ცივდება ტვინი. სისხლის ჩქეფაც მალე მისწყდება.
მე კარგად ვიცი ეს რა არის, რისი ჟინია.

წუხელი ღამით ეს თითები ვერხვისფოთლობდენ.
ღებავდა სისხლი მოღალული ტუჩების მარჯანს.
სუსტი თვალები შავ სტრიქონებს ვეღარა ფლობდენ
და მე ვფიქრობდი, რომ ეს კვირა არ გადამარჩენს.

ვუცდი და ველი — ბედი როცა დამაყირავებს
და ამ ქვეყნიდან გამისტუმრებს თქვენი არული,
როცა გამყვება პროცესია მე ბულვარული
და მელოტები მოიხსნიან გადამსკდარ თავებს.

1919

ავტოპორტრეტი

ეშმაკის ნაკოცნი — გრეხილი ტუჩები.
ქალა გაცვეთილი. ობით დაყლარტული.
თვალი გახელილი. ცვრით განაფუჭები.
წვერის ღეროებში მატლი გახლართული.

არწივის ნისკარტი — ცხვირი ჩანგრეული.
შუბლის მარმარილო ღია და გაშლილი.
ყვითელი ლოყები, ტალახად მღვრეული.
ყბები და კბილები — რღვევისგან დაშლილი.

რიტმიულ ნაბიჯზე თავი სულ ქანაობს.
კისრის და კეფასი იხსნება ხტილები.
კუბო მიტორტმანობს, მისცურავს და ნავობს —
უკან მომყვებიან ქუდგადახდილები.

1919

ფანტასტიკური ქორწინება

დაიწვა ვნება და ჩემი სული
გააქალაქეს, ვით რესტორანი,
უიმედობამ ფიქრი დასწურა
და სულიწმინდად დამდევს ყორანი.

მაგრამ ფერწასულ დღეთა ლოცვაში
მალე გაქრება სიცოცხლის ტრფობა,
მეც შენთან მოვალ და გაციებულს
გადავეხვევი, როგორც ობობა.

თითქოს განმზადილს ჯვარდასაწურად,
სამარადისო კოცნით დალორწილს,
გვერდს დაგიდგები და ფანტასტიკურს
მე გადაგიხდი საფლავში ქორწილს.

და შენი გიჟი ატორტმანება
გადააგორებს საფლავის ლოდებს,
ჩვენ ერთად შევქმნით მეორე კანას,
ქრისტეს ქიშპობაც რომ მოგველოდეს.

და ყოველ წლობით თეთრ დეკემბერში
თვე მე და შენი გარდაცვალების
იქნება მესა ანთებულ ვნების,
ჩვენი უხორცო ძვალთა ნვალების.

ამ დროს მოუსწრებს სოფლად დღეობა,
ვნება ასტეხავს იქ გოგო-ბიჭებს
და საფლავებზე მოხუცი მღვდელიც
ჯვარგადახსნილი გადააბიჯებს.

სამგლოვიარო მარხი

შორით უყეფდენ ამ ცას ხეთები.
აქ არმაზს სწვავდა მზე ალმაცერად.
დღეს ტვინდაფშვნილი დავეხეტები
და გახრულ სხეულს ვჩელტავ ფაცერად.

გონედას რწყავდა აქ ბიზანტია.
სთვლემდა აზია გადარუჯული.
ფიქრის ჭენება ეხლა ზანტია.
მინას ჩავყურებ მცდარი, ურჯულო.

თავი მგონია მე დანამწვარი.
დაცხრილულ სხეულს ვაცლი მუგუზლებს.
წრთობით მაკივლებს ავი დღის ცვარი
და სხვა გზის მატლი ნელა ხრავს ქუსლებს.

საფლავის ქვებად ჩამოქნილ დღეებს
მოავარაყებს მოგვთა ჰამქარი.
და ჩემი სულის გადამხმარ ტყეებს
გაანიავებს სხვა ქვეყნის ქარი.

ძველი ადამის ცოდვების ვალში
აფთარი ღამე მომიჭერს ხელებს.
საუკუნეთა გამოხრულ თვალში
კივილით მისვრის. და გამახელებს.

ცნობადი ძარღვის ძაფებად დართულს,
გამადნობს ცეცხლი მე, როგორც კალას,
მაგრამ მერმისის დაღით დათართულს
ქვეყანას ვესვრი მე თავის ქალას.

მას გამოვატან ჩემს ვექილობას,
რომ სხვა იღბალი მინას ასხუროს.
და მისი უშნო მოდრეკილობა
უცრემლო ზარით გაამასხაროს.

მე კი გავათბობ გველის შავ კვერცხებს.
გულზე ავშოლტავ შხამიან ტყემალს.
და ჩემი სულის ჩამქრალ ნაკვერცხლებს
ამოვაყოლებ დამპალ ხერხემალს.

1920

წითელი გველი

გაზაფხულდება, ამწვანდება სქლად მთაგორები,
მაისის სიცხე ჰკბენს ბუზებით ყანაში ხარებს,
ზღვაში ვარდება წითელი მზე — ცათ ნაგორები,
წმინდა ამინდი საღამოთი გლეხს გაახარებს.

წაბლის ხიმებში მოწყენილად ქსელავს ობობა,
სიტკბოებისგან იწურება ტყეში იელი.
რომ გათენდება ჩვენს მხარეში დღე — გიორგობა,
ვიწრო ხვრელიდან გამოძვრება წითელი გველი.

იმ კვირეებში, მოხუცები იტყვიან სოფლად,
ღელეში დადის უცხო კაცი, სხვა, გარეული,
ყველას ჰგონია ის შეშლილი, გადარეული,
თხილის კომბალით წყალს მიჰყვება უხმოდ და ობლად.

თხელ გუბეებთან იცდის, როცა გაშუადღდება,
გველის გამოსვლას ჯოხით ელის და უთვალთვალებს,
უცდის და ეძებს ის ალმასის თვალდამჭრელ ალებს
და გადის ტყეში, როცა ბინდზე სიო ატყდება.

არ მოჩანს გველი, დადის მჩატედ, ვით ბამბის ქულა,
ნახეს და მაინც ვერ მოსტაცეს ალმასი-ჯადო,
ბევრი ვაჟკაცი მის ძებნაში გადაკარგულა,
სოფელმა ბევრი გველნაკბენი მინაში ჩადო.

ასე მიჰქრიან სოფლის მოკლე წელიწადები.
კაცი და გველი, ალმასი და თხილის ჯოხები,
ზაფხულის ღამით მათზე ფიქრობს წაბლის ქოხები,
მოხუცებულსაც აგონდება გულის ნადები.

და მზიან დღეში, როცა ქსოვენ ქალები ხამებს,
მოიგონებენ ზღაპრად ალმასს და გველის შხამებს.

1920

ბამოთხოვება

მოვკვდები ჩუმად ჩემს კუთხეში საწყალი მგზავრი,
სულს გამიციებს ქალაქური თუჯის სახლები,
მე ნავალ ისე მოკრძალებით, უცნობი ჯავრით,
რომ სიბრალულით დამკოცნიან ქუჩის ძაღლები.

არ გამანათებს გვირგვინები და პროცესსია,
გულღია საფლავს არ დააბნევს ვარდს ქალწულები,
კუბოს ცხენებიც არ წაიღებს, როგორც ნესია,
აშლილ ნაბიჯით წამათრევენ დაქანცულები.

ო, მეგობრებო, მომიტევეთ შეცოდებანი,
მე ვინ გამიღებს სამოთხის კარებს,
განსაზღვრულია წმინდანების იქ წოდებანი
და პატიოსნად ცხონებულებს ვინ მიმაკარებს.

მე მაცოცხლებდა წელმაგარი გლეხების გვარი,
მაგრამ შევრიე იგი სისხლი შხამიან ძმარში,
დავიწვი ისე, როგორც ჩვენსას იწვოდა კვარი
და მშობელ მიწას ვაგონდები მხოლოდ სიზმარში.

მე ბევრი მიმაქვს უცნობი და გაუგებარი,
ჩემს ტვინში ბევრი უცხო აზრი გადაგლესილა,
მე არ მსმენია ტკბილი სიტყვა, — ძმა, მეგობარი,
ო, რომელიმეს მტრულად მაინც გაერტყა სილა.

და ახლა მკვდარი, ფეხშიშველი, გახუნებული,
ხმელი ვკიდივარ ორი ქვეყნის მე ორბოძალზე,
მე წარსულ დღეებს გადავტირი დაღონებული
და ყველა ღმერთებს სათითაოდ ვაგინებ ძალზე.

1920

დღე ღრუბლიანი

თავზე დაემხო ცა — მთოვარი და ღრუბლიანი,
მკვდარი ოცნება დეკემბერმა მთად ააზავა.
მახრჩობს ვიღაცა — კეთროვანი და დორბლიანი,
ორი ეშმაკი ვერაფერმა ვერ გააზავა.

დეკემბრის მოთქმა ჩვენს გონებას სნვავს, აპარტახებს,
შავ მესას იხდის სულის ძვლებზე ეშმაკეული,
თვალებზე მახვევს ვიღაც შავი ცეცხლის არტახებს,
გულში იზრდება ასკილის ხე, ღვთისგან წყეული.

ღრუბლიან დღეში ლეღვის შტოზე მახრჩობს აფთარი,
ღრუბლიანობით გოიასთან ღამე ვათიე,
ღრუბლიან დღეში მიბნელდება მე კელაპტარი:
პატარა მკერდში დიდი გული ვერ დავატიე.

1920

* * *

ხელიდან ხელში გადადის გაზეთები,
სადაც მთავრობის სადგომია.
რა ამბავია ასეთი.
— ომია
— ომია.
— გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.
ეძახიან ყველას.
ყველას.
ოსმალო მოადგა ბათომს.
აჭარას ზარბაზანი ათოვს
და
სამშობლო მოითხოვს შველას.
ისმის სახელები
— ჩხენკელი.
— ბრესტლიტოვსკი.
— ტროცკი.
მიფრინავს ტრამვაები, ქუჩები, სახლები.
აღარაა ფიქრის დროც კი...
გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

1922

ბალლადა მოგონილი

როცა სოფელს შთანთქავს ღამე.
ჩასთვლემს მთა და ველი.
როცა, თურმე, სუნთქვას შესწყვეტს
ფიქრის საბერველი.
და სიზმარი დააშენებს მიწას ზღაპრის კარავს —
ვილაც კაცი ამ დროს აწყობს
საქმეს — გულშემზარავს.

როგორც ძაღლი, შემპარავი, მიდის საფლავებთან
და, ვით გველი, არღვევს მიწას სამახსოვრო ქვებთან.
და როდესაც არაწმინდა საქმეს გაათავებს —
დააგროვებს ცაცხვის ძირას
მკვდრების დამხმარ თავებს.

გადააპობს, როგორც ჯირკებს, ის სულწაწყმენდილი,
გადაცვეთილ თავის ქალებს, ფრჩხილით გაწმენდილით.
ყოველ თავში გაგიჟებით ურევს ცოდვილ ხელსა —
საქმეს ჩადის ღვთისგან კრულსა და არ გასამხელსა.

არღვევს თავებს, არჩევს ტვინებს,
გარდასულთა აზრებს.
წვალობს ღამით. ქრება დილით.
მზე მას ველარ ასწრებს.
გარბის. შემდეგ სხვაგან ეძებს,
ასე — ქვეყნით ქვეყნად.
ნახვა კაცის განკიცხულის გახდა დასაკვეხნად;

ასე დადის მოუსვენრად ტვინის მარღვეველი
და არასდროს არ ისვენებს მისი მარცხის ხელი.
ამბობენ, რომ კაცი იგი ქვეყნის ბედსა სწერავს.
მკვდარი თავის საიდუმლოს რკინის გულზე სერავს.

1921

უცხო ასული

მაგრამ უეცრად სხვა მოგონება
მოეფარება საწერ მაგიდას,
რომ ააგოროს ჩემი გონება
და სხვა ოცნებას გამოაკიდოს.

მე გამანათებს ზაფხული, სიცხე
და გამოჩნდება უცხო ასული...
სახე — რომელიც ვერ დავივიწყე.
სახელი— გულზე გადარაზული.

1922

გული – თუთიყუში

მე პოეზიისთვის გამოვიშიგნე გული
და გზა ავირჩიე წვერწითელა ისკარიოტის.
ჩემი გზა ასე იყო გადაქარგული —
ბედი სნეულების. მჟავე ტვინის. შხამის. იოდის.

თქვენ რა იცით —
რამდენი ვიწვალე მე ჯოჯოხეთის კუბოში.
დაიცათ —
თუ მე აქ მოველი,
ბინა ჩემი დარჩა ეშმაკის უბეში.

თქვენ გგონიათ — მე ეხლა დავიბადე?
მე ზურგით მომაქვს
ყველა პოეტების მძიმე ბედისწერა.
ამიტომ დავდივარ მე ალმაცერა
და ამიტომ ვგავარ მე ურიას.

მე სულ გავიძახი: მწყურია, მწყურია,
როგორც აგვისტოში დედალი ძერა.
მე სულ მეშინია და ვერიდები ყველას.
არავინ იცის ჩემი ვინაობა.

მე ისევ დავიწყებ სისხლით ხველას,
რომ ავატირო მეშვიდე თაობა.
ასე დავიბადე უხეირო.
ალბათ ბედმა დამცინა ვერაგულად.

მოხდა ასეთი სეირი:
ძარღვები დამიშხამეს და
ჭრელი თუთიყუში ჩამიდვეს გულად.
თქვენ ნუ იფიქრებთ ჩემზე ცუდ რამეს.

მე საწყალი კაცი ვარ და მეტად შესაბრალისი.
მამაჩემი ქალამნით იხდიდა დრამას.
მეც ხომ თოფნაკრავი ბუ ვარ ჩვენი წაბლნარისა.
ეს არის ჩემი ბიოგრაფია
და, პოეტებო, ჩემთან სიცილით ნუ გაჩერდებით:
ეს იმ სისხლის ქაფია,
როცა უკანასკნელ ლურსმანს კუბოს აჭედებენ.

1922

ვის უნახავს სამშობლო საქართველოში

საქართველოსკენ ოცნებაში ყველანი მივქრით
და ყველას გული სამშობლოთი მოკონილია.
ნეტავ რა არის საქართველო თქვენის ნაფიქრით —
სინამდვილეა, თუ ტყუილად მოგონილია.

რადაა საქართველო მარტო გესლი
და მარტო ხიდი,
ან — მისი თესლი
ნათრევი და ხიდზე ნაყიდი.

საქართველო ნისლია და ბურუსი.
ეროვნული სიტყვაა — ღალატი.
იქნება ერეკლემ იძმო რუსი,
რომ ჩაეცვა უცხო ხალათი.

საქართველო უცნაურია
საუკუნეთა დენაში.
იქნებ რუსთაველიც იყო ურია
რომ გაიქცა პალესტინაში.

რა ვქნათ, საქართველო რომ გვანუხებს
და ჩასობილია ყველაში.
გვიჭერს სიყვარულის მარწუხებს,
მაგრამ —
ვის უნახავს სამშობლო
საქართველოში.

1922

* * *

მე ავაშენე სიყვარულის უცხო ტაძარი.
მაგრამ ტაძარში არ ისვენებს წმიდა სამება.
იქ, წიფლის ჯვარზე გარჩენილა ქრისტეს წამება.
იქ სიცივეა და ტირილი გულშესაზარი.

საშინელებით მემუქრება მე ვალტასარი.
მიახლოვდება უნახავი რამ დაღამება.
ვერ მოვასწარი თვალის დროზე დახამხამება, —
ისე ჩაიქცა ჩემი გული, ნაღაზღაზარი.

გატეხილ ღამით მესიზმრება შენი სიზმარი,
თითქოს შევიქენ შემწირველი მაღალ ტიბეთის.
უცბად აღსრულდა დაპირება უნყალო ბედის —
დავეცი კლდეზე და სიკვდილით გადავიზმორე.

შენ ზიარებად შემასმევდი სისხლიან ღვინოს,
რომ სიყვარულმა ლურჯ ძარღვებში დაიჭიხვინოს.

1922

ატორტმანებული სიზმარი

ჩემი ოცნება სიზმარშიაც კი ლესავს ისრებს
და ძილის ფსკერზე ატორტმანებს შავ მყუდროებას,
ძილშიაც იბრძვის და ქიმერებს უგრეხავს კისრებს,
მოუსვენარი, არ ასვენებს მოხუც დროებას.

და სიზმარეთში მელანდება ძველი ცხოვრება,
მომაგონდება — დავიბადე დიდი ხნის წინეთ,
მე განვიცადე გოლგოთა და გამაცხოვრება,
მკვდრეთით აღვსდექი,
კვლავაც მოვკვდი და ჩავიძინე.

მე ვხედავ მიწას, რომ არ იყო არსად ცხოველი,
როცა ქაოსის ეშვებოდა შავი ფარდები,
ისე გმინავდა გადამწვარი და უცხო ველი,
ვით სასიკვდილოდ დაკოდილი ლეოპარდები...

ცხელ უდაბნოში წავიქცევი მე უცაბედად.
შევხედავ — ჰყრია ხმელ ქვიშაზე ჩემივე ძვლები,
ხორცი დამწვარა, გაფიტულა ქარში აბედად —
წინეთ მოვმკვდარვარ,
დღეს დავდივარ და არ ვიცვლები.

ხან მომავალი დამიდგება წინ — სახე ჭრელი.
ვხედავ თუ როგორ მაწამებენ მე — შეჩვენებულს,
შევყურებ ზეცას დასაწყლებით, განმარტოებით,
ვერავის ვხედავ, განწირული, ახლოს ჩვენებურს.

მაგრამ მე ვიცი: მაგარია ყოფნის ეშვები
და ბებერი დრო ვერ მოლუნავს სიცოცხლის ნებას,
ასჯერ მოვკვდები და ქვეყანას არ მოვეშვები:
მე თვით გავყვები ჩემი სულის გამოსვენებას.

1920

სიყვარულს

ეგვიპტიდან მოტანილი ყალამუს,
ატირება დავრდომილი რითმების.
ვიცი — ბედი ჩემზე არ დაითმების,
არც ნაღველი ეღირსება მალამოს.

დამავიწყდა ქვეყანაზე რაც არი —
მეგობრები, სიხარული, სიამე.
ჭრილობანი გულზე დამესია მე,
რაც ავაგე შენი ტრფობის ტაძარი.

შენ გნახულობ კარის ეკლესიაში,
სადაც სწირავს დეკანოზი დიანოს,
განმიკითხე შენს მონათა სიაში,
ან მივიღებ რჯულს სამაჰმადიანოს.

უშენობით ვინ მიხილოს მცინარი,
შენს გადაღმა ქვეყნად რა დამრჩენია —
შენ გეძახი ფხიზელი თუ მძინარი,
საფლავშიაც ჩემი გული შენია.

გეძახი და კი ვერ გაგემხილები,
მემატება საწყენი საწყენზედა.
მესიზმრება შენი ოქროს ღილები —
ღვთისმშობელო, მიმინოთი ცხენზედა.

1922

ᲨᲐᲒᲘ ᲒᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ნინო ტაბიძეს

როცა დაწყევლილ ცოდვის ფრინველმა
ცეცხლის სვეტები გადმომაყარა
სულის ჭაობში გამოზრდილ გველმა
უბედურება შემომახარა.

აქედან — ჩემი ხმელი სხეული
ჯვარზე ჰკიდია თვალდახეული
ასე დამჩემდა უბედურება.
ჩემი ვარსკვლავი გახდა წყეული
და ჩემი ლექსი — ბედის მდურება.

მზე ჩემთვის სითბოს აღარ იმეტებს,
დაქცეულია ყველა ხიდები.
გამოვიტირებ ყველა იმედებს
და ეგვიპტეში გავიყიდები.

ნუ გაიხსენებთ ჩემს სახელს ავად:
ბედი დამეცა გლოვის ვარსკვლავად.

1922

* * *

„გქონდა სამშობლო საყვარელი და — მიატოვე.
რად გენანება დახლეჩილი შენი თვალები.
გიყვარდა სატრფო და, ულირსმა, სხვას მიათხოვე,
ბარემ დასთოვე ეგ ცრემლები, განაწვალები.

შენ გადასთხარე მოგონების ყველა ლერწები
და რა გატირებს უცხო ზღვაში, უცხო აფრაზე.
ეხლა რას უხმობ, ეძახი და ეალერსები,
როცა ილბალი სამშობლოში შენ გააბრაზე.

ზღვაში იალქნით საკუთარი ჩაუშვი კუბო
და რაღას ნანობ გადაუხდელ პანაშვიდებზე.
ნუთუ გგონია შენი გულით ზღვა დააგუბო,
როცა ჰკიდიხარ დასახრჩობად ბედის თითებზე.

სოფლის საყდარზე მიატოვე შენი მერცხალი
და, უმადურმა, დაილოცე შენ ძახთაპირზე.
ეხლა კი ნანობ, რომ ჩაგიდგა თვალებში წყალი
და შენი გული რომ ფართხალობს მღვრია ნაპირზე“.

ასე აყივლებს წმინდანიანს აია სოფია
და ატყორცნილი მინარეთი ასე მახელებს.
უიმედობა ჩემს თვალებში ჩანასობია,
მაგრამ იმედად ვეფარები ძვირფას სახელებს...

1922

მოგონება

ქარია, სწივა.
ისეთი ზამთარია.
ქარია. ავდარია.
პოეზიას სცივა.

ქუჩაზე მიჰქრიან
მოღუნული კაცები.
ფიქრია —
მოსატაცები.

ჰყვირიან. იქადნიან ტრამვაები.
პოეტები დადიან აბუზული.
სიცივეა. ვაება.
იხევა აფიშა რუსული.

იწყება თეატრები. შესავალთან დიდი ომია,
ვინ მოგეხათრება?
ანათებს შორით უცხო სიტყვა —
„გასტრონომია“.

გაღარიბდა „ბუენოს-აირესი“,
შეიქმნა ვაჭარი ჰაერის.

ნუთუ არავინ გაიარს კეთილი.
აღარც ქარს გაეწყობა რამე.
გაყინულია კიბეც და კიდეც.
საშინელი იქნება ღამე.

სძინავთ ქაშუეთსა და პარლამენტს.
გვიანაა. ანი ვის მოედები?
ვინ გადაურჩება ასეთ ამინდს?
ღმერთო გაათბე
პოეტები.

1922

თვალები მტვერში

განბილებული ჩემი დღეები
დასავლისაკენ ეშურებიან.
ჩამობურული ცის კუთხეები
ნვიმებისაგან აღარ შრებიან.

ნუთუ ნამება აღარ მეყოფა,
ნუთუ ცხოვრებამ სულ გაირბინა!
მე ვისი გული გადამეღობა,
ან ჩემი გული ვინ გაიფინა.

ვის დავუშავე, ვის მოვერიე,
ან ვისი ცოდვა ავიღე თავზე:
ჩემი ცხოვრება მწარე მტვერია
და მტვერი — ჩემი თვალებით სავსე.

1922

უეცრად გამოღვიძება

რამდენი ღამე მასზე ფიქრით გაგვითევია
და გვიტირია ჩვენი ბედი რამდენი ღამე,
როცა საზღვრებში გული ვეღარ დაგვიტევია, —
დაგვილევია საკუთარი გულის ბალღამი.

1922

როგორც ეპიტაფია

მე გამოვფატრე ლექსი ქართული
და ულმობელად ტვინი მოვწალე,
ვარ გაგიჟების ფიქრით გართული,
როცა გონება სულ ამოვცალე.

მე წავიკიდე ცეცხლი გენიის
და ახალგაზრდა დავბერდი უდროდ,
დავდივარ, როგორც კრული კაინი
და არ მაქვს ბინა, რომ დავიმუდრო.

ქვეყანას ჩუმად შემოვეპარე,
გულზე დავესვე, როგორც სატეხე
და რომ არავის არ მოვეფარე,
სანყალი თავი ზედ დავატეხე.

ვიცი, მოვკვდები მე უსახელო,
ვერ ავალ მთაზე გზადანაბანდი,
რადგან გასვრილი მქონდა საყელო
და რადგან მყავდა მამა — ნალბანდი.

მაგრამ არ ნანობს ტვინი გახრული,
რომ შემომალპა ნიფელის ტანი,
მეც თანაბარად მითქვამს მაყრული
და არ მაწუხებს სხვისი კურტანი.

1922

რუსთაველი

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მეფე
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.
ვის გააგონოს საქართველომ ტირილის ხმები?
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის უღვთო თარეში?

დიდი დავითი, თამარი და კახთა ბატონი.
მოურავი და სოლომონის გამრისხანება.
გრემი, იყალთო, სიონი და წმიდა ათონი.
ქართლის ძუძუზე დაწრეტილი თათრის ხანები, —

მათ ხსენებაზე დავიწყება დაიბანაკებს.
ეგ ყველაფერი უმზეო და უსაბუთოა:
საქართველოს ბედს რუსთაველი მარტო განაგებს,
მარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.

და თუ ოდესმე ქართლი ცივად გაისუდრება
და მის გონებას მოანვება ცხელი ანთება,
თუ საქართველო გასახმობად გაიფუთრება
და მისი ჯიში ქვეყნით-ქვეყნად გაიფანტება, —

მაშინ ქვეყანა ისევ შოთას გაახსენდება.
ანაფორაში ის დადგება უფლის წინაშე.
საქართველოდან მოწყვეტილი ის აენთება
და — საქართველოს გაანათებს პალესტინაში.

რუსთველის ხატთან მე ვაგდივარ ხელგაბაწრული
და უკვდავ სახეს, გაძარცული, მე ვევედრები:
მიიღე გული, სიყვარულით გადაბასრული,
უფალო ჩემო, შენს სიყვარულს ვინ შეედრება.

შემდეგ შევფიცავ პოეტების მაღალ სიაზე,
უფლის ბაღიდან რომ დასწურეს შხამის მტევნები.
ვილოცებ მათზე, ავტირდები პოეზიაზე
და ნატირალი კვლავ სიყვარულს დავედევნები.

1922

წაბეგული ბიოგრაფია

ვიყავი მარად ულარიბესი,
მქონდა სიმართლე და გული თბილი.
გამაჩნდა მარტო ძაღლი ჩიბისი,
და მახარებდა მასთან სირბილი.

დიდხანს დამქონდა გული სოველი,
გული ნაწყენი და გასრესილი.
მიდგა სიცივე დაუთოველი,
სიზმრებისათვის მიყვარდა ძილი.

ყველგან ვითხოვდი მე შეცოდებას,
ატირებული სიმარტოვეთი.
არ იყო ხელის გამოწოდება
და არ გამათბეს სოფლის პოეტი.

ბოლოს ვიპოვე კეთილი ძაღლი,
და გულზე ძაფით შევაბი გული,
მაგრამ წამება მან გამიახლა —
ორივე ვნახე მე დაკარგული.

ასე — ბედისგან დამოკლებული
დავდივარ, კაცი ულარიბესი:
გული თრევისგან გამოქლიბული
და გასრესილი ჩემი ჩიბისი.

1922

ხატი ძახთაპირი

ძაღლის სახე – ხატად მოსკოვის
ისტორიულ მუზეუმში

ვიწამე ხატი მე ძახთაპირი,
სხვა წმინდანებში არა მაქვს ხელი.
ის არის ჩემი ფიქრის ნაპირი
და ჩემი ლოცვის ერთი სახელი.

სრულის ღირსებით ჩამჯდარა ძაღლი,
ვით თანასწორი ხატებში — ხატი.
მასზე არავინ ლოცულობს ახლა
როცა წირვაა გადასახადი.

მაგრამ ქრისტესთვის იგიც ეწვალა.
ქრისტესთვის იგიც იყო მყეფარი.
და თუმცა სახე არ შეეცვალა
მაინც ამ საყდარს შემოეფარა.

ჯერ არ მოხრილა ამ კაცის ნება
და მოხატული ძველებურ ჩვარზე
ყველა წმინდანებს ის ეუბნება,
რომ ძაღლი ღვთისთვის გაეკრა ჯვარზე.

ვის გაუგია ძაღლი ჯვარცმული.
ან ძაღლი-სახე სახარებაში.
მე ჩემი თავიც ვერ დავირწმუნე
ასეთი ფიქრის გადარებაში.

და როცა ვხედავ ხატს-ძახთაპირას
მოვიდრეკ მუხლებს და ვიტყვი ასე —
მე ქრისტემ შენზე გადამაპირა,
წმინდანო ჩემო, მე დაგაფასე.

და მინდა გავხდე მე ძახთაპირი,
მინდა საყდარში მეც დავიყეფო,
რომ გადავლახო ყველა ნაპირი
და გადავთელო ხატთა სამეფო.

ასეთი ფიქრი მე მანადგურებს
ფიქრი წამების ახალ ქრისტეზე.
მაგრამ მაცილებს ყველა სადგურებს
ქალწულის ფეხზე მაგარი დეზი.

მაგრამ სიკეთე ჩემთვის არ არი.
მიქრიან ქრისტე, წმინდა ათონი.
აღარ მამშვიდებს წმინდა ოლარი
და მესიზმრება ჩემი მადონა.

მადონა, ქრისტე და ძახთაპირი
და საბოლოოდ ისევ პირველი.
გული — ხატისთვის გადანაფერი,
და მადონასთვის — მარად მწირველი.

ასე ჩამოდის ჩემი ცხოვრება:
მადონა, ძაღლი და ძახთაპირი.
ყველასთვის ჩემი გამათხოვრება
და გაგიჟების ზღვა — უნაპირო.

1922

მეტად უნუგეშო პეიზაჟი

გადახმა ტყემლები ჩვენს სოფელში,
ჩვენს საყდარს დაჰკივის ყვავები.
ეზოში ლერწების ხვავები,
მოხრილი გლეხი ნაჯახით ხელში.

ჩვენში სოკოები დაესია ხეებს
და ვეღარ წამლობენ ბაღებს.

ნესტი ანადგურებს საყდრის კუთხეებს
და მღვდელი დაეძებს საყდრის გასაღებს.

ჩაქრა ქურბაქი,
აღარ ისმის ხმა სამჭედურში,
და ჩარხი დანის გასალესად აღარ ტრიალებს.
მჭედელს კბილი სტკივა, ღობესთან მზის ყურში
სოფლის დალაქი ხბოსავით აღრიალებს.
ჩვენ შემოგვეჩვია კვიმატი ფარული
და გაზაფხულზე დაგვიშრა წყარო.
მეზობელს მოუკვდა შვილი გაპარული
და ისმის დედის
„ჩემო შვილო. დაუვიწყარო“.

საყდრის გალავანში ნაიქცა ცაცხვები,
აღარც მოსავალია, აღარც სიხარული,
მჭადიც არავის აქვს გამოსაცხობი,
ყველა გაღარიბდა, არული, არული.

დაყრუებულია პატარა ეზოები.
ყანებში დაიბნა ქარისგან ზვინები.
შუკაში მიჩოჩავს მოხრილი თეძოები
და სოფლის ჯვართან ურემი დგას დანასვენები.

სამრეკლოც დაიქცა და ზარები აღარ ზარობენ.
აღარც მთავრობაა ჩვენით კმაყოფილი.
ჩვენში შემოხედვა ყველას ეზარება.
ასე მიიპარება
ორღობეში ჩვენი სოფელი.

1922

წმინდანიანი

საუკუნეში ერთხელ ქვეყანას
მოევლინება წმინდანიანი —
ცეცხლის ფრინველი, მთოველი ცოდვის
და როგორც გველი — წვრილტანიანი.

აითვალთვალებს ღამით მაღლობზე
საყდრის გალავანს, მგზავრი შორითი.
და დააცხრება წვერმაღალ ნაძვებს,
ვით მოწყვეტილი მეტეორიტი.

ძირს, დახავსებულ მუხის საყდარში
შეშფოთდებიან სულ წმინდანები.
ისე იელვებს ხატებთან შუქი,
ვით დამარცხებულ მტრის წინ დანები.

დამბლა ეცემა წმინდა გიორგის
და გველეშაპიც მოუჭერს რკალებს.
მარიამს შვილი ხელთ გავარდება
და პეტრეს შიში ააკანკალებს.

ქრისტე წამებით ჯვარს გადატეხავს,
გაიშვერს ხელებს ცხელ ლურსმანებით.
გუმბათზე თვალი დაიხუჭება,
შეშფოთებული გველურ ზმანებით.

თუ ვინმე ამ დროს გაივლის ახლო
თავს დაემხობა ცეცხლის სვეტები.
ავი სახადით დასნეულდება
და ჭკუას მოსწყვეტს კუპრის წვეთები.

დილამდე გასტანს საყდართან ბრძოლა
და რიჟრაჟამდე სული ცდომილი
არ მოსცილდება საყდრის გალავანს —
დაუძლევი და მიუწვდომელი.

დილით გაჰქრება ცოდვის ფრინველი,
კივილით ღამეს გაეკიდება,
ცეცხლის ნაკვერცხლებს დააყრის ხეებს
და ტყეებს ცეცხლი წაეკიდება.

1919

ჩიბის

შენ ჩემო ძაღლო, ჩემო ჩიბის, ჩემო კეთილო,
ერთად ვიყავით ერთი ფიქრის მცველი ძაღლები,
მაგრამ ოცნებას კარი ჰქონდა გამოკეტილი
და ახლა ცალად მოგონებას ვემოახლები.

შენ მოგიგონებს შორეული ცხელი სტამბოლი,
კეთილი გულით გელოდება ქალი ბოსფორზე.
ალბათ, ოცნებობს სამშობლოში დარჩენილ ორზე,
სანამ არ იცის ეს ამბავი, გადასტამბული.

იყავ პოეტი უნაზესი და ჭეშმარიტი,
ვიწრო ქვეყანა მეტად ჩქარა გადაირბინე.
ჩვენთვის უფრო ხარ საყვარელი შენ სამარეთი,
რომ პოეტებთან აირჩიე მუდმივი ბინა.

მე დავიტირე შენი ბედი, როცა კვდებოდი,
შენ გახსენებენ უცხოეთში კეთილი დები.
ჩემს დაღუპვაზე მარტო შენ თუ ატირდებოდი,
ახლა არ ვიცი, ჩემს სიკვდილზე ვინ ატირდება.

1922

სონეტი

მისმა სიუხვემ დამაქცია, დამაღარიბა
და შევიქენი მათხოვარი ძვირფასი ხმების.
თითქოს მონა ვარ უსინათლო, მტარვალი მეფის,
და მანუგეშებს მხოლოდ ქრისტე და სახარება.

რა მენატრება მისი ნახვა, მასთან გარება
და სურნელება უცოდველი ქალწულის თმების.
რომ გაიგონოს ატირება ჩემი რითმების,
მაგრამ იღბალი უჟმურია და უკარება.

ნუთუ ჩემზეა მოგონილი ძველი არაკი,
რომ ვაჟი მოკვდა, ასულმა კი სხვა შეიყვარა.
ნუთუ ვერ ვნახავ, ნუთუ ცრემლი ასე იღვარა!
და ღვთისმშობელმა არ მიიღო ჩემი ზვარაკი.

იყავნ მშვიდობით, შეგემატოს ლაურას დღენი
და ბეატრიჩემ ჩაგაბაროს შენ სამოთხენი.

1922

კოჭლი გული ბარათაშვილის

თქვენ იცით კოჭლი გული ბარათაშვილის
ყორანმა რომ დაჰხია ჩხავილით?
ბედი უსაშველო,
რომ იწყება რუსთაველით...
წმინდანიანმა შესჭამა ედგარი
და შემდეგ ნიკოლოზი.
ორი გული, სიყვარულით ანაფეთქარი
ორი კოლოსი,
და მე ვფიქრობ:
ხომ შესჭამა ყორანმა ბარათაშვილი
და სიმაღლე ედგარის შუბლის...
მომეც მე საშველი.
იყავნ ჩემზე კურთხევა უფლის.
ღმერთო —
უშველე შენს მონას ნიკოლოს,
რომ არ მოკვდეს.
არ დაეცეს.
არ ჩაიქოლოს.

1922

საქართველოს მზიან სერებზე

დაჰბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გავყვები ჩქარა —
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად ავეკიდე კარიდან კარა.

გადამეშლება წარსული დღენი,
პოეზია და ცივი თითები.
გადამიარენ ვით ამორძლები
ამბები, ზღვებით განადიდები.

მაშინ გავიწევ ცისკენ ცერებზე,
გავიმართები, გულს გავაქორებ
და საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავაგორებ...

1922

ერთადერთი სონეტი

თამარ ვაჩნაძეს

ჩემი ლექსები, სამშობლო და ერთი სახელი
ჩემი ძარღვებით შეკრული და შეერთებული.
გულიდან ასე მოწყვეტილი უმართებულოდ —
არ იქნებიან სიხარულში ჩემი მნახველი.

ვერ დავაწყნარე სამშობლოში მწარე ნაღველი
და ეს ლექსებიც დავინახე გადაგდებული.
გული მოვკალი სასაცილო და აგდებული,
და ის სახელიც, ჩემი გულის გადამდაღველი.

უცხო სადგურზე მივატოვე ძვირფასი ბარგი
და მომტირიან ბავშვებივით მე სტრიქონები:
„ვინ შეგვიცოდებს, ვინ გაგვათბობს, ვინ არის კარგი“.

აღარ მოისმის საპასუხო ხმის გაგონება.
მაგრამ ინათებს ერთი სახე წასულ პოეტში.
ატირებაში, წამებაში და უცხოეთში.

1922

ძველი ლირიკა

მეგობრებო, ბევრი არის ალბათ თქვენში ასეთგვარი,
სიყვარულით დაკირთული, მოხრილი და ნასეტყვარი.
ალბათ, თქვენაც, დაგდენიათ,
ნაგუბარი ცრემლთა ღვარი,
ანთებულხართ, დანთებულხართ,
როგორც ბნელში ნედლი კვარი.

ალბათ ბევრნი ღია გულით სიყვარულსა დახვედრიან,
წაქცეულან, გაქცეულან, ახლა ბედსა დაჰყვედრიან,
სანეტარო მოგონებას თინათინსა ავედრიან,
გულს იმედით აცოცხლებენ, იმედის წინ თავსა ხრიან,

ასეთები ჩემს მოწყენას და გოდებას მიხვდებიან.
მეგობრებო, ჩემი დღენი დანისლული მიჰკვდებიან.
უბედონი სიყვარულსა ვერ იხილვენ ვერცა გვიან.
სიყვარულსა მოვლა უნდა, სიყვარულსა ბედი ჰქვიან.

1922

სამშობლოს

ო, საქართველოვ, წიგნო, ჩუმად გადასაშლელო,
გულისცემაში ჩასრესილო, სიკეთევ წმინდა.
შენი წყლულებით მინდა გული მეც ავაჭრელო,
შენი სახელით გახარება ათასჯერ მინდა.

დიდი ტრფიალის მეც დამადგი მძიმე უღელი,
გასწონე გული სიყვარულის მწივანა ისრით —
მე, თავმოჭრილი, ნამებაში შეწუხებული,
გეამბორები, სახსოვარო, სისხლოვან კისრით.

1924

პოეტს

საკუთარ სისხლით გაზარდე ღმერთი
და უკვდავება მშობელ მიწაზე.
თავდავიწყებით თუ ვერ ამღერდი —
ვერ აენთები ვარსკვლავად ცაზე.

მიწას არ უყვარს მხდალი და კუშტი.
გამბედაობას დარჩი გირაოდ.
დააძმობილე ტვინი და მუშტი
ბედის სასწორის დასაყირავად.

ბრძოლა — აშკარა, თუ უსინდისო
და სიყვარულის აღარ დათმობა —
გამართლებაა ყოველი დღისა
და გამარჯვების ალით გათბობა.

გაგაფხულის შემდეგ

ღრუბელი ელვამ გაფატრა დანით,
ცას გადაუხსნა უბე სოველი
და გადიფურჩქნა ქვეყნად ყოველი,
როგორც ქალწულის ლორთქოშა ტანი.

მოიმარჯვა და მქუხარე დროშის
მეხმა დაასო ბუჩქებში ტარი.
დაწყნარდა ვნება, ჩამდგარა დარი
და გაიზმორა ჩიტმა მყუდროში —
ქარიშხლის შემდეგ მინაბულ დროში.

გრგვინვა კი გაჰყვა სხვა ცის კამარას,
სხვა ქვეყნის თავზე დაგრიხა ელვა,
შორეულ ზღვების აქოჩრა ღელვა,
და მეხი შორს რომ დაასამარა —
სხვა სივრცეების განაგრძო თელვა.

გამოზაფხულდა. ჩადგა წვიმა. შეწყდა ქუხილი,
აზმორებს ჩიტი, მისი გზა და მისი ნუხილი.

1934

უსახო გელი

უდაბნოსავით უმეტყველო
უსახო ველი
შუა დღის ღველფში ჩაბერტყილი
იშმუშნებოდა.
წიოდა ქარი, უდეგარი და,
როგორც გველი,
რკინის ბოძებზე ფშალასავით
იგრიხებოდა.

ველზე — ქარხანა, გარუჯული
გარემოს მცველი,
ოხრავდა, ქშენდა, ცეცხლი პირით
აღმოხდებოდა,
და ქარხნის მილი, აშვერილი,
ვით კაცის ხელი —
მჭვარტლიან მუშტით მთელ ქვეყანას
ემუქრებოდა.

განწყობილება

ფრაგმენტი

აიღებ კალამს, ხან წითელი, ხან შავი მელნით —
„ნ. მინიშვილი“, დასწერ, ნაშლი, კიდევ და კიდევ.
თევზის თვალივით შეირხევა ჯურღმულში ხელნი.
შეგეშინდება. ნაშლი. მცველნი. სულ ძველის ძველნი.
პატარა მკერდში გულს ველარ იტევ.

ისევ დაიწყებ: სიხარული. მიდიან წლები.
დაბარბაცდები. გალურჯდება შიშით ფრჩხილები.
დამშვიდდი, გულო, როგორც წლები, შენც შეიცვლები
და წარიშლება შუბლზე ჩრდილები.

როგორც წყაროში შემოჭრილი ტირიფის ძირი
წითელი ზოლი გადახაზავს დაწერილ პნკარებს,
თევზის თვალივით ისევ გაჰკრავს ნათელი მცირე
და მიაკვდება ხავსიან კარებს.

მაგიდის უჯრას გამოსწევ და გამოცვლი კალამს
გველის ზურგივით გაიელვებს უჯრაში ლულა.
სულ უმიზეზოდ მოიგონებ სოფლურ ქალამანს,
სუსტი ნაბიჯი რომ დაასრულა.

დახევ დაწერილს. დაღლილობა ძილს მოგანატრებს,
მამადავითზე ციმციმ ვარსკვლავს მიაპყრობ ცქერას.
თუთუნის კვამლში დაამშვიდებ ძარღვების ძგერას
და მოგონებას — ღამეში ნათრევს.

უძილო ღამევ, ათასნაირ ცთუნების ბუდევ,
გააღე თვალი და გამყევი მშვიდობის გზაზე.
გადამატარე დამღუპველი ფიქრების ზღუდე
ამომავალი მზით სავსე ცამდე.

აიღებ კალამს, ხან წითელი, ხან შავი მელნით
„ნ. მიწიშვილი", დასწერ, წაშლი, კიდევ და კიდევ.
თევზის თვალივით შეირხევა ჯურღმულში ხელნი.
შეგეშინდება. წაშლი. მცველნი. სულ ძველის ძველნი.
პატარა მკერდში გულს ველარ იტევ.

1934

პრომეთეოსი გამარჯვებული

რამდენი ხანი მე ვიყავი აქ მიჯაჭვული,
რამდენ ათასმა საუკუნემ აქ ჩაიარა,
როგორც წყურვილმა სიცოცხლის და თავისუფლების.
და რამდენი დღე, როგორც გესლი ლერნოსელ გველის,
ქრონოსის შვილმა ჩამაწურა დაღლილ თვალებში.

აი ბორკილიც, ჰეფესტოსმა, კოჭლმა მჭედელმა,
ზევსის ბრძანებით რომ დასჭედა მტარვალის რისხვამ,
ისე შეაკრთო აფროდიტეს გულჩვილი ქმარი,
რომ ქვითინებდა, როცა სხეულს ხვდებოდა რკინა.

ხოლო ეს თითქოს გუშინ იყო — როცა მახვილმა
მკერდი გამიპო და ნაპრალი შეღება სისხლმა,
ის აღრიალდა, შევეცოდე, შეჰქმნა გალობა,
მაგრამ ძალამ და ულმობელმა ხელისუფლებამ
დამონებული ხელოვანი მყის ჩააჩუმა.

მე დვრჩი მარტო, არა ახლა ყინვას და ქარებს
გამოუფიტავთ ეგ არწივი, წინათ კი იგი,
როგორც შურდულით ნასროლი ქვა უზარმაზარი,
გაიშხუვლებდა, მოსწყდებოდა სიმაღლეებს და
სისხლიან მკერდზე რისხვასავით დამაკვდებოდა.

რამდენი ლუკმა ხორცი ჩემთვის მოუგლეჯია,
რამდენი სისხლი ბოროტ გუშაგს შეუსვამს ჩემი.
რომ წამებაზე კვლავ წამება დამმატებოდა,
მით იაფეტის ურჩი შვილი მოტეხილიყო
და მორჩილებით აღემართა ზეცისკენ ხელი.

მაგრამ „არასდროს!" — გავსძახოდი აქედან კლდეებს —
პრომეთეოსის არ შესწყდება მანამდე ჯანყი,
ვიდრე განაგებს მიმოქცევას კაცთა ბედისას
უღირსი იგი, ვინაც მამა, შემქმნელი მისი,
დაიმონავა, საჭურისად გახადა იგი
და მეუფება მოიპოვა სისხლის წყალობით.

რა დავუშავე? მე ვხედავდი: ადამიანი
იყო უაზრო, უმეტყველო, ბრმა და უძლური,
არ რა იმედი მის უგვანო, მიწურ ცხოვრებას
არ უნათებდა. ქვეყანაზე არსება კაცის
სქელ ღამეს ჰგავდა, უნაპირო ზღვაზე განოლილს.

მე გავაღვივე კაცის გულში სითბო ოცნების,
ავამეტყველე, ავამღერე და ადამიანს
შეუცნობელი საიდუმლო ვამცნე ბუნების.
მას შევასწავლე მშენებლობა, დაძლევა სივრცის,
ბუნება რიცხვის, ნაოსნობა, იალქნის გაშლა,
მნათობთა გზები და ისიც თუ — არსი ყოველი
და თვით ჰაერიც როგორ იქცეს სიცოცხლის წყაროდ.

ხოლო ქვეყანას კურთხევა რომ შეჰმატებოდა,
კაცს შთავუნერგე სიყვარულის მაღალი გრძნობა
და მივეც ძალა მოგონების, ეს დედაფუძე
ხელოვნებისა, სიბრძნისა და მეცნიერების.
და, პრომეთეოს, შენ მიიღე სამაგიეროდ,
რომ შეიქენი მიჯაჭვული ამ შიშველ ქვაზე.

მაგრამ მერჩია ეს ნამება არ შემწყდარიყო
და ამ არწივსაც კვლავ ეკორტნა სხეული ჩემი,
რადგან, მას შემდეგ რაც დაემხო ღმერთების ფუძე
და ეს ბორკილიც ჩამომეხსნა, შემესხა ფრთები,
და მრავალ ქვეყნად ვინახულე კაცთა ცხოვრება,
მე ვიტანჯები უარესად ვიდრე ოდესმე.

დამყარებულა ქვეყნად შური, მტრობა, მონობა,
ომი და სისხლი, უაღრესი ძალმომრეობა
და ადამიანს სანეტარო ოცნების ქვეყნად
ზევსის ელადა შორეული მიუჩნევია.

ვინ იფიქრებდა: სიყვარული და ვნება ჩემი
ასეთ საშინელ, ბოროტ ნაყოფს გამოიღებდა
და მოვაშურე სხვა განზრახვით კოლხეთის მხარეს,
კავკასიონი რომ დარაჯად გადმოსდგომოდა:

ამ ქვეყნის მიწა ჩემი სისხლით იღებებოდა,
და იგი სისხლი, აქ მიჯაჭვულ ნელთა მანძილზე
სინოყიერეს შემატებდა ამ უცხო მიწას,
ხოლო სიტყვები, ამ კლდეში რომ ჩამისროლია,
კოლხეთის შვილთა გონებაში ითესებოდა.

ჩემი სისხლით და ჩემი სიტყვით გაღვიძებულნი,
აქ იზრდებოდნენ ვაჟკაცნი და მეამბოხენი,
რომელთა შორის, თანაბარმა ჩემი სახელის,
ერთმა
ასნია ამბოხების გმირული დროშა
და — გაიმარჯვა.

1936

ბორბაგს არაბგი

ფრაგმენტები

ძველთაგან ქართველს დასჩემდა ნირი —
ფიქრის გაფენა სამხედრო გზაზე.
ალბათ, იმიტომ, რომ ქვეყნის ჭირი
სხვანაირად სჩანს მყინვარის ცაზე.

იმიტომ ალბათ, რომ მთელი ტანით
აქ საქართველო გაწოლილია,
რომ კლდეა მისთვის წყალის მიმტანი
და რომ კლდეებიც სისხლით თლილია.

წარსული მოსდევს აქ „ავტოკარებს“,
წარსულს გაიარ - წარსული გხვდება.
თითქოს გაგიღებს ჩაკირულ კარებს,
მაგრამ უეცრად ნისლებში ქრება.

ნისლი კი, მთაზე გადანახაზი,
შემოგთავაზებს უცნაურ სურათს:
დიბიჩის ჯარი იძახის „ურას“,
და ღენერალი, მეფის ნაგაზი,
აცარიელებს სალაშქრო სურას.

ხან კი მოსწყდება მწვერვალს ვაჟია
და ჩაერევა ხანჯლით ყაზახებს.
იბრძვის ელგუჯა, გელაც კაჟია,
თოფის გრიალი მთებს დააძახებს —
არ შეუშინდეთ. დასცხეთ ბიჭებო,
ხერგით, ლოდებით გზებიც ჩარაგვეთ...
გაქრება ნისლი. მთა იხლიჩება
და უფსკრულებში ბორგავს არაგვი.

არაგვო, მუდამ არაგვიანო,
დარიალის გზავ, —
ბნელო, ქვიანო.
მთავ, გულზვიადო,
ქველო, ჭკვიანო —

შენს ვაჟკაცობას
დღეს რა ჰქვიანო?

ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს
ნადირსა შავი ტყისასა
ვინც სვამდა, დღესაც იგი სვამს
რკინასა თერგის წყლისასა.
დღეს იმისივე ნერაქვი
აპობს შავს კლდესა მთისასა,
ის აგუგუნებს სიმღერას
აღაღადებულ ქვისასა.

და წითელ სახლთან,
საყდრის ახლო, მოჩხუბარიძე
გრანიტის ძეგლად
აკვირდება უცნაურ ომსა:
გუგუნებს ხევი,
ისმის თითქოს ხმა ყუმბარისა
და შებღავლება,
როცა ლომი დაახრჩობს ლომსა.

გახსოვს, მოხევე ლელთ-ღუნიავ,
შენ უცხო მგზავრი
ტარანტასით რომ ბრუნდებოდა
პეტერბურგიდან?
ერთხელ იგავით რომ გაუნდე
მას გულის ჯავრი —
რომ დავეცითო,
მოგვადგაო მტერი ზურგიდან.

ძველთაგან ქართველს დასჩემდა ნირი —
ფიქრის გაფენა სამხედრო გზაზე.
ალბათ, იმიტომ, რომ ქვეყნის ჭირი
სხვანაირად სჩანს მყინვარის ცაზე.

1931

დილა

როგორც ვერცხლის სათითური
გადმომდგარა მწვერვალი,
ზღვას ადნება ცისკიდური
და ზურმუხტი მღელვარი.

მიდის გემი, როგორც მაქვა
მოწყვეტილი ნაპირებს,
კვამლის ცეცხლით ზღვების დაგვას
ამ დილით რომ აპირებს.

ასეთ დილას ლაზისკართან
გაფისული ნავებით
იტაცებდნენ მთას იქითა
ქალს, გიშერა კავებით.

აშორებდნენ მაღალ მიწას,
ლაღს, მზიური წყალობით,
აღმართავდნენ ცისკენ ფიწალს
წარმართულის გალობით:

„დედავ-დილა, რაშავ-დილა,
ო, დელია, რაშაო.
ზღვაზე ნისლი დაპენტილა,
დილა, არ დაგვაშავო“.

იმ შავ დილამ წინაპართა
შთანთქა ცალფა ნავები
და წივილში უცხო ქართა
დასწყდა მოსართავები.

გადაიმსხვრა წინდის ჩხირა
უიალქნო ანძები,
დასობილი თავდაყირა,
ვით დაცლილი ყანწები.

მოჩვენება დაიჩრდილა,
თავს შორიდან მაფერებს...
გადმოადგა დიდი დილა
ჩემი ქვეყნის ნაპირებს.

ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი

შემახის გზაზე ვილაც შავმა, შავნაბდიანმა,
შუაღამისას დასძრა შავი ყარაბახული;
და თბილისამდე ბედაურმა ორბის ფრთიანმა
გასცვითა ნალი, ამ დღისათვის შემონახული.

არც ღამე იყო, მაგრამ თითქოს არც თენდებოდა,
როცა მხედარმა სასახლეზე მოაგდო ცხენი,
და უმალ, თუმცა ფეხზე დგომა უძნელდებოდა,
კნიაზ ნამესტნიკს წარუდგინა ხურჯინით ძღვენი.

გადასცა წიგნი, შეისწორა ხანჯალი ბასრი,
დასწვდა ამანათს — მოარიდა ლაპარაკს ყური.
მან ამოიღო გაფერილი სპილენძის კასრი.
მერე წამოდგა და ასეთი ახსნა სურათი:
„მოჭრილი თავი მოგართვითო, ჰაჯი მურატის“.

ღია ფანჯრიდან ქარმა შუქი დააბარბაცა,
ბაღში აპრილის გაისუდრა ტკბილი ტაროსი.
და მოკლე ფრაზამ, ინგლისურმა, გასჭრა დარბაზი:
„ჭკუამ დაღუპა ეგ ბარბაროსი“.

შემდეგ წაიღეს პრისტავებით, მარშით, ურათი,
ვითომ დღე იყო მიღნევების ამომწურავი,
და მოედანზე დადგეს თავი ჰაჯი მურატის —
სისხლში, სპირტში და ლეკერტიან ცრემლში მცურავი.

მაგრამ ჯიუტი ნასროლ ტყვიას აქაც ითვლიდა.
იქ, ნუხის ტყეში, ხმალს იქნევდა მკვდარი სხეული.
პეტერბურგისკენ ფელდეგერი ცხენებს იცვლიდა,
მიჰქროდა სისხლი, დაღესტნიდან გადმონთხეული.

ამ სისხლისათვის ცრემლს შამილი არ იმეტებდა:
გამყიდველმაო ღირსეული ჰპოვა ნათესი,
და ვორონცოვიც, წინათ სხვას რომ აიმედებდა,
ასე ფიქრობდა: სისხლიოა მოღალატესი.

მაშ ვინ იყავი?.. რა იყავი? მაშ, რაღა გქვიან,
აქაც და იქაც დაღუპულო, მოჭრილო თავო.
ხუნძახელ ჰამლეტს რად გინდოდა, რომ გაჩნდი გვიან
გაორებულო, უფსკრულებში ჩაშლილო მთაო.

აქედან ვხედავ, ამბობს იგი: ბრძოდე, იწვოდე,
გაგსრისოს, დეე, ჭრილობებმა სისხლიან ფარცხით,
მაგარამ, თუ იბრძვი — სამუდამოდ უნდა იცოდე:
გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით.

1935

ტიტიან ტაბიძეს, ბიორბი ლეონიძეს

თვალწინ მიდგია დაბინდული, წყნარი სიონი
და ნინოს ჯვართან სათნოება პოეტებისა.
ინისლებოდა იმ საღამოს დარი მზიანი
და ცივდებოდა შორეული სახე მთებისა.

მოიხსენია ჩემი სული, ცდომილი ერთმა.
მეორემ ჩემთვის დაილოცა წმიდა ნინოზე.
ცოცხალი სისხლი დამანვეთა იესოს ფერდმა
და გავიგონე ხმა, უტკბესი ძველ ნანინაზე.

განვლო დღეებმა. დავიღალე. ვნახე ზიანი,
მაგრამ დალოცვა მაცოცხლებდა პოეტებისა.
ვიცი, რომ ღმერთთან ლექსი ხიდად გაიდებისა
და უფალი ხომ პოეტია, თავაზიანი.

ვიცი, რომ ყველგან, პოეზიის მაღალ წირვაზე
იმედისა და გამარჯვების უხვი თვალია.
და როცა ღმერთიც პოეტებში ჩასათვალია, —
ვინ გაიფიქროს ღვთის გულიდან ამოძირვაზე.

ეხლაც სიზმარში მეჩვენება ორი პოეტი.
მათი სანთელი. დაბინდული. წყნარი სიონი.
კვლავ მიბრუნდება სიყვარული დარბაზიანი
და ვიმართები, მოღვედილი სიმარტოეთი.

კეთილო ძმანო, შევიქენი თქვენი მოვალე.
უკანასკნელად თქვენის ხელით მე ვეზიარე.
თქვენს ხსენებაში ეგ რითმები მე გამოვლალე
და თქვენი კუბოც უნდა იქნეს ჩემი ზიარი.

შრიალებს შორით სიხარული, გადაკარგული
და მოსჩანს გზები — სონეტებით გადაქარგული.

1922

მინიატურები

სიყმაწვილე

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩამოივლის ის ჩვენი ცხოვრების კარებთან, მხოლოდ ერთხელ გაჩერდება ის საიდუმლოებით მოცულ ცხოვრების ბჭესთან და წავა, გაქრება, ვით მოელვარე წამი. გაქრება და მოეფარება სამარადისოდ ცხოვრების მჩქეფარე ტალღებს. გაქრება და ვეღარ ნახავ მას შემდეგ.

ბევრჯერ უძახი მას ცხოვრების უკანასკნელ წუთში, მოუხმობ ბევრჯერ, მაგრამ ამაო იქნება ძახილი და მუდარა, ის აღარ დაბრუნდება შენთან...

ბევრჯერ მოისურვებ, რომ დასწვა, დაფერფლო მომავალი ცხოვრება შენი, დაამსხვრიო ან არსებული ფიალა ცხოვრებისა, მხოლოდ ის დაბრუნდეს, გაგრძნობინოს წუთით მაინც, რაც იყო, რაიც ოდესღაც განიცადე, რაც ისე უყვარდა სულს, მაგრამ ულმობელია სასტიკი დრო, იგი ჯალათია ბედნიერების წუთებისა: ვერაგულად მოგაცილა მან საუნჯე შენი და აღარ დაგიბრუნებს მას. აღარ დაგიბრუნებს არასოდეს...

მწუხრისა ჟამსა, როდესაც წერ შენი ცხოვრების უკანასკნელ ფურცლებს, როდესაც ისმის მწუხარე გლოვის ზარი — შენი ცხოვრების გამომტირებელი გლოვის ზარი — შენ ისევ გსურს თავიდან იწყო წერა ამ ფურცლებისა, მაგრამ ვერ ამოშლი მას, რაც დაწერილია, ვერც დაწერ აწი იმის მსგავსს, რაც ჩაგინერია ცხოვრების წიგნში. ის არ იქნება მსგავსი სანატრელი წარსულისა, მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩამოივლის ის შენს კარებთან, მხოლოდ ერთხელ გაგიღიმებს ტკბილი ღიმილით, ერთხელ მოგაწოდებს ლამაზ ფიალას, ტანჯვა-ბედნიერებით ავსებულს.

ბოლომდე დასცალე ფიალა იგი! დასცალე, რადგან წუთი იგი აღარ განმეორდება შენს ცხოვრებაში!

მალე, მალე გაივლის სიჭაბუკე, ახალგაზრდობა და ნეტარ არს ის, ვინც ლამაზად დასცალა ტკბილი ფიალა სიყმაწვილისა, ნეტარ არს!

1915

მე ვარ „ადამიანი"

ა

მე ვარ მხეცი, გრძნობა-გონებას მოკლებული, მე ვჭამ ჩემი ძმის ხორცს, თუ მშია — ვკლავ მას, თუკი ეს გამომადგება. მე არა მაქვს არავითარი გრძნობა, და თუკი თავს კარგადა ვგრძნობ, სხვაზე არას ვფიქრობ.

მაგრამ მე ვშრომობ, ვშრომობ და მით ჩემს სხეულს ვასაზრდოებ. და თუ ხანდისხან მე ცოტა არ მყოფნის — სხვას ვგლეჯ ხელიდან თავის ლუკმას. მე მესმის ტირილი მათი, ვისაც ლუკმა წავართვი, სიცოცხლე მოვუსპე, მაგრამ რა ვუყოთ: მე ჩემს კუჭს ვაკმაყოფილებ და ამგვარად ბუნების კანონს ვასრულებ.

ბ

მე ძლიერ მგრძნობიარე ვარ, დიდი მისწრაფებანი მაქვს და მრავალი ბრწყინვალე აზრი იბადება ჩემს თავში.

მე ჩემი სათუთი გრძნობების დასაკმაყოფილებლად ავაგე საკვირველი შენობანი, შიგ სხვადასხვა გასართობები. მე ხშირად დავდივარ თეატრებში. იქ სხვადასხვა სურათები მეხატება თვალწინ, საუცხოო სურათები.

იქ ვხედავ გაჭირვებას, ტანჯვა-წვალებას ჩემისთანა არსებისას, მე ძლიერ მეცოდება ის. მე ვერ ვიტან ამ ცხოვრების სისასტიკეს, საშინელებას. მე მეცოდება ბედკრული ჩემი მოძმე. მე მინდა გადავეხვიო მას, გადავკოცნო. ვაჩუქო თუ რამ მაბადია.

მე თეატრის გარეთაც ვხედავ ამისთანა ხალხს, მაგრამ ისინი ისე უზრდელნი არიან, ისე უზრდელნი, პირდაპირ გეტყვის — მშია, არაფერი მიჭამიაო. დიახ, მე სათუთი გრძნობა მაქვს და ძლიერ მეცოდება ჩემი ტანჯული მოძმე.

გ

მე ძლიერ მიყვარს თავისუფლება და ვიბრძვი მისთვის... თავს არ ვზოგავ მისი მოპოვებისათვის... მე მქუხარე ხმით გავსძახი ჩემს თანამოძმეებს: „ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, ბრძოლა მტარვალებს, გაუმარჯოს თავისუფლებას-თქო“, და ვიბრძვი...

დ

როცა თავისუფლებას ვპოულობთ, როცა ძველი კერპები ძირს ემხობიან და ძველი წესები ისტორიას ბარდება, მაშინ მე — თავისუფლების მოტრფიალე — თავისუფლების ჯალათი ვხდები და მათ, ვინც მე ბრძოლაში მეხმარებოდნენ, მათ ისევ მონობაში ვაგდებ. ისევ ხუნდებს ვუყრი ფეხებში და ვცდილობ, თავისუფლების აჩრდილი ისევ არ მოელანდოთ...

ე

„სამშობლო და თავისუფლება" — ოჰ, როგორ მაღელვებენ მე ეს სიტყვები!

დიახ, მე თავგანწირვით, თავგანწირვით მიყვარს ჩემი სამშობლო! მიყვარს ჩემი მაპა-პაპის სისხლით მორწყული მიდამოები და საჭიროების დროს ამ მიდამოებს ჩემს საკუთარ სისხლსაც ვანთხევ.

ვ

ჩემი ინტელექტი, ჩემი განვითარებული გონება, რომელმაც აზროვნების მწვერვალებს მიაღწია, ისე დახელოვნებულია, რომ რიდე ავხსენი ბუნების მრავალ საიდუმლოებას, მონად გავიხადე ბუნების ძალები.

მე ხმელეთზე ქარივით დავქრი. ზღვაზე და ზღვის ქვეშ გამეფებული ვარ და ჰაერი ჩემი სანავარდო მოედანია. ვით მჩატე ეთერი, მე დავსისინებ ცის განუსაზღვრელ სივრცეში.

მე ყველაფერი ვიცი დ სხვას გზას ვუკეტავ სინათლისაკენ, თორემ ისიც გაიგებს, შემეჯიბრება და

განსხვავებით, რომ წინათ ამ სიტყვებს მათთან ერთად მე სხვას ვესროდი და ახლა ისინი ჩემ წინააღმდეგ იქნებიან მომართული.

თ

მე მეფე ვარ ქვეყნისა, მხეცზე უფრო უზენაესი ინსტინქტების მქონე.

მე ვარ ძალა, რომელსაც ვერაფერი ვერ დაიპყრობს. მე ვარ, როგორც ამბობენ, ღვთის ხატება, რომელსაც დღეს სატანას ხატებაც მივუმატე.

მე ვარ არსება, რომლისათვისაც აკრძალული არაფერი არ არის, რომლისათვისაც ყველაფერი ნებადართულია.

მე ვარ უმშვენიერესი და უგონიერესი ქმნილება უხილავისა!

მე ვარ უდიდესი ალტრუისტი და საშინელი ეგოისტიც!

მე ყველა მიყვარს და ყველა მძულს, ყველას ჩემს თავს ვანაცვალებ და ყველას ჩემი თავი მირჩევნია.

მე ვარ ქმნილება, რომლის გუშინდელ წმიდათაწმიდას დღეს ვბღალავ და დღევანდელს ხვალ ვაბინძურებ!

მე ყველაფერი ვარ და მე ვარ არარაობა!

მე ღმერთი ვარ!

მე ვარ არსება, რომელსაც დიდად პასუხისაგები სახელის ტარება ხვდა წილად და რომელიც მას დღეს ღირსეულად ატარებს.

მე ვარ „ადამიანი..."

1915

წინ, სიკეთისაკენ!

— გასწი, ირბინე, — ეუბნება რაღაც ძლიერი ძალა მოქათქათე მზეს, — არ შეჩერდე... ჩქარა, ჩქარა!

ის შეუჩერებლივ მიჰქრის თვალუწვდენელ ცის სივრცეში. მიჰქრის... მიჰქრის კოსმოსის შექმნის პირველი დღიდან...

რადა?!

მას ხომ თვითონ არა სურს, ასე იაროს... არა, არ სურს, მას არ უნდა... ვერა ხედავთ, როცა ის საღამოს ზღვის ტალღებში იმალება, ის თითქოს სტირის, ის იბრძვის.

ის ხტება, მაღლა იწევა, რომ ერთი კიდევ შეხედოს, თვალი მოჰკრას საყვარელ ქვეყანას, მაგრამ უხეში ძალა მას არ აჩერებს, მიაქანებს... შორს მიაქანებს...

— წინ! დაიწვი საკუთარ ცეცხლში... სხვაც დასწვი! იარე, იარე!

— ეს ხომ სიკვდილია... სიკ...

— ჩქარა... თუნდაც მოკვდე.. დაიწვი... მხოლოდ წინ! არ აჩერებს ძლიერი ძალა და ის მიჰქრის, მიჰქრის...

— სიკვდილისაკენ...

* * *

— გაიზარდე, გაიზარდე, — ეუბნებიან პაწია ბავშვს, — გაიზარდე ამხელა, აჰაა... დიდი კაცი... მალე გაიზარდე, რომ...

საწყლები... ჩქარაო... და ის კი არ იციან, რომ ეს მალე გაზრდა მალე სიკვდილსა ნიშნავს!

ნუ, ჩემო პატარა, ნუ უჩქარი. სიკვდილი ისეც ადრე მოვა...

* * *

— გაზაფხულდა! — გაიძახიან ყველანი, — გაზაფხულდა!

ნაზმა იამ თავი წამოყო... ხის ტოტები რაღაც უცნაური კვირტებით დაიფარა... ვარდის კოკრები დიდდებიან... ფართოვდებიან... რაღაც უხილავი ძალა თითქოს ბერავს მათ.

— მალე გაიზარდე, გაიფურჩქნე... ჩქარა, ჩქარა! — ეძახის მათ შიგნიდან ის და ვარდები იშლება, იშლება...

— მაცალე... არ მინდა, — ეუბნება ამ ძალას კოკორი, მაგრამ მას არ ესმის... არ ესმის... ეძალება — წინ, წინ, გაიზარდე, გაიფურჩქნეო...

ნელა... ნელა გაიშალე, კოკორო, თორემ მალე, მალე მოვა შემოდგომა და ყველანი გაყვითლებულნი ძირს ჩამოიყრებით.

ნუ, ნუ უყურებთ მას, ნუ უჩქარით... ნელა გაიშალენით, ნელა...

ნუ მიჰქრი ასე სწრაფად, ცხოვრებავ... ნელა, ნელა... შენ ისე ლამაზი ხარ, ისე მშვენიერი, მაგრამ შენ ისე ჩქარა მიჰქრი, რომ ბევრი, ვისაც შენსავით სწრაფი თვალი არა აქვს, ვერ ამჩნევს შენს სიმშვენიერეს... ნელა წადი... დაე, ყველა დასტკბეს შენი სილამაზით, სიმშვენიერით, ყველა დასტკბეს.

და მაინც რას უჩქარი? იქ, ბოლოს, ხომ იცი, რა გელის. „ის" ხომ იქაა გაჩერებული — სიკვდილი! რაც მალე მიხვალ, იმდენად მალე მოგიღებს ბოლოს. მაშ ნელა, ნელა!

* * *

ოხ, არ ესმით... მზე მაინც ჩქარა მიჰქრის... მას სითბო აკლდება — ის იფერფლება საკუთარსავე ალში. პატარა კი უცბად გაიზარდა. ყოველი მცენარეც ზევით იწევს, წუთობით იზრდება. ცხოვრებაც მიჰქრის... ვერ ჩერდება... ვერ ჩერდება.

— წინ, ჩქარა! — გაიძახის ეს საიდუმლო ძლიერი ძალა... და ყველაფერი შეუჩერებლივ მიჰქრის, რათა მალე განვლოს თავისი გზა და შემდეგ სიკვდილის მხვერპლი შეიქნეს... რათა შემდეგ სიკვდილი დაეპატრონოს მას.

შეუჩერებელია ეს წინსვლა სიკვდილისაკენ, შეუჩერებელია!

ოჰ, ნელა წადით, ნელა, იქ ხომ სიკვდილია... ნელა!

1915

პეპელა

ინათა სანთელმა და გაჩნდა პეპელაც.

გაექანა და შიგ შუაგულ ალში შევარდა. გადარჩა. კიდევ გაექანა, ფრთები აელანძა მხოლოდ... კიდევ და კიდევ.... პეპელას ფრთები შემოეწვა, პეპელა ძირს დავარდა...

მოკვდა პეპელა... დაიწვა პეპელა...

რისთვის მოკვდა ნაზი პეპელა, რადა?

რისთვის მიფრინავს პეპელა ცეცხლისაკენ, განა არ იცის, რომ ფრთები შემოეწვება და ძირს დაეცემა?

იცის, იცის, რომ ის ცეცხლში დაიწვება. იცის, რომ მისი ნაზი ფრთები ალზე დაიფერფლება... იცის, რომ თვითონაც ამ ცეცხლის მსხვერპლი შეიქნება. მაგრამ... მაგრამ ის ვერ ჩერდება...

ცეცხლი იზიდავს მას თავისაკენ, თუ რაღაც გაუგებარი დაფარული ძალა მოაქანებს ცეცხლისკენ, არავინ იცის. მხოლოდ ის ცეცხლისაკენ მიფრინავს, იწვის ამ ცეცხლში და იფერფლება...

ხომ კარგია სიცოცხლე, ხომ საყვარელია იგი და რად აქრობს მას პეპელა ცეცხლზე? რადა? რისთვის?

და, განა, ადამიანო, შენც პეპელას არ გავხარ? განა თვით შენც პეპელა არა ხარ?

დიახ, შენც პეპელა ხარ, მოფარფატე პეპელა. შენც ცეცხლისაკენ მიისწრაფვი. შენ კიდეც გძულს და კიდეც გიყვარს სიკვდილი... შენ ათასნაირ კაცისმკვლელ იარაღს იგონებ. ხომ იცი — მისი მსხვერპლი თვითონ შეიქნები!

შენ დიდ ცეცხლს ანთებ. ალი მისი ზეცასა სწვდება და შენ ამ ალში ვარდები... ეხვევი ამ მწვავე ალში... განა არ იცი, რომ დაიწვები შიგ, განა არ იცი?

იცი, იცი, მაგრამ შენ მაინც ცეცხლისაკენ მირბიხარ, თითქოს მასში იყოს ხსნა შენი. შენ კი ნამდვილი სიკვდილისაკენ მიისწრაფვი...

რადა? რისთვის?

არც შენ იცი, რადა? არ იცი? ხა, ხა, ხა, ხა... პეპელა ხარ... მოუსვენარი პეპელა, თავის ფრთებს რომ ცეცხლის ალზე იწვავს...

და ვინ განსაჯოს, რისთვის ეთამაშები შენ სიკვდილს? ნამდვილად სიკვდილი გწყურია, თუ სიტკბოებასა და სიამოვნებას განიჭებს სიკვდილთან თამაში?

ეჰ, ვინ ახსნას, რად დაფარფატებს პეპელა სანთლის ალთან, რად ეხვევა ამ ალში...

რადა? რისთვის?

1915

სიცოცხლე... სიცოცხლე!

(ავადმყოფის დღიურიდან)

გაზაფხულის საღამოს ხალხი ქალაქიდან ტყისაკენ მიეშურება სასეირნოდ.

არემარე კვლავ გამოცოცხლებულა. ბუნება ხარბად დასნაფებია ცხოვრების ნექტარს. ყოველი ბალახი, ყოველი ფოთოლი ხარობს, შრიალებს და ათასნაირ ჰანგზე მღერის ცხოვრების სასიხარულო სიმღერას... ნაკადულიც ბანს აძლევს ბუნების ტალღათა სრბოლას. იგი მხიარულად მილიკლიკებს ტყის გვერდით. იგი ხტის, იგიც ხარობს, რომ მისი მეგობარი ბუჩქები და ხეები კვლავინდებურად შრიალებენ, ძველებურად უვლიან ფოთლები სიოს სისინზე მხიარულ ფერხულს...

მხიარული ჩიტები კვლავ დაჰბრუნებიან თავიანთ ძველ ბუდეებს და დილიდან საღამომდე ახალი ცხოვრებისათვის ზრუნავენ... ჭიკჭიკით ამხიარულებენ ტყესა და ველს. ხის ლურჯი ბაყაყებიც კი სითბოს გარეთ გამოუყვანია. ირგვლივ შეუწყვეტლივ გაისმის მათი მხიარული „ყა, ყა, ყა", თითქოს რაღაცა სასაცილო რამ დაინახეს და მასზე ხარხარებენო... ყოველი ხიდან მოისმის მათი ყიყინი და შორიდან ადამიანს ჰგონია, რომ მთელი ტყე ხარხარებს, იცინის და ტაშს უკრავს სიხარულით.

ყველა სიხარულით მიდის ამ ტყისაკენ — ეტლით, ქვეითად. აგერ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ხელიხელჩაკიდებული მხიარული სიცილით მიუყვება ტყისაკენ გზის ნაპირს. აგერ ეტლით ჩაიქროლა ვიღაც ჩასუქებულმა კაცმა. იქ ყმაწვილებს სუფრა გაუშლიათ მდელოზე და

მათი სიმღერა-სიცილი არეს ედება. აი, კიდევ ქალ-ვაჟი... ესენი კი ჩუმად მიდიან, არ ლაპარაკობენ... არა, ისინიც ლაპარაკობენ და როგორ მგრძნობიერად! განა ენით გამოთქვამს კაცი იმას, რასაც ხანდისხან საყვა-რელი არსების მკლავშემოყრილი მკლავი იტყვის? ილაპარაკეთ, ისაუბრეთ, მეგობრებო!..

აი, მეც ნელ-ნელა მივდივარ ტყეში.

ძლივს მეც აქ მოველ, დავაღწიე თავი ჩემს ბნელ საკანს... მოვშორდი ტანჯვის სარეცელს... კმარა, მე აღარ შემიძლია მეტ ხანს წოლა... მეც სიცოცხლე მინ-და, მინდა სხვისი ბედნიერებით მაინც დავტკბე. სხვის ბედნიერებას მაინც ვუცქირო... მივდივარ... მაგრამ, აჰ! ამ გორაკზე უნდა შევისვენო. აღარ შემიძლია, ლურს-მანივით მომწოლია რაღაც გვერდში, თითქოს მის გახ-ვრეტას ლამობსო. ეს ხველა კიდევ, ეს ხველა! ოჰ, ღმერთო ჩემო, როდის რა მეშველება. რა უნდა ვუყო ამ ხველას.

აი, ქალ-ვაჟი მიდის ზევით... მომიახლოვდნენ... გაკვირვებით მიცქერიან, თუ როგორ ვიხრჩობი ხველებით ხის ძირას მწოლარე. გვერდი ამიარეს.

— ეი, მეგობარო, კოხის ბაცილების წინააღმდეგ არ არის რაიმე საშუალება? მეგობარო...

— რა სისულელეა, — მომესმა მათი ხმა. არც კი იხედებიან ჩემკენ, ისე მიდიან. აი, მათი სიცილიც მო-ისმის... იქნება მე დამცინიან, თქვენ ხომ ხართ მაინც ბედნიერნი, იცინეთ, სანამ ცოცხალი ხართ, იცინეთ.

დაბლიდან მხიარული სიმღერა მოისმის. მე ისევ ვწევარ მინდორზე, ხის ძირას. არა, არ მინდა დაწო-ლა. განა არ მეყო საწოლში ტრიალი? რისთვის უნდა ვიყვე გამონაკლისი ამდენ ხალხში! განა მე არ უნდა მიხაროდეს გაზაფხულის მოსვლა? რად ვერ დავსტკბე მისი მშვენიერებით?

ავდექი, მივეყრდენ ხეს.

— ეეეეე! სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე! — ვიყვირე მე.

თითქოს ტყე შეინძრა და იცოცხლეო, ყრუდ გამომძახა გაღმიდან.

იჰ, შენ კი გენაცვალე, ჩემო ტურფავ, ჩემო მშვენიერო ტყევ. მაშ ვიცოცხლებ, მაშ, არ მოვკვდები, გენაცვალე, და კვლავ განახავ შენ?

ოჰ! რა კარგია, რა კარგია, რა კარგია სიცოცხლე, რომ იცოდე.

მაგრამ ეს რაა? თავბრუ მესხმის. ალბათ, ძლიერმა ყვირილმა თუ დამასუსტა...კიდევ ხველება... სისხლი... ოჰ... ვეცემი... აი, აგერ ვიღაც კაცი მორბის ჩემ საშველად, მე ადგომა აღარ შემიძლია, მინდორზე ვგორავ.

— რა დაგმართნია, მეგობარო, — მესმის უცნობის ხმა.

— სიცოცხლე, სიცოცხლე მწყურია, გესმის, — ვბუტბუტებ მე, — სიცოცხლე!

— „იზვოზჩიკ"! — იძახის უცნობი კაცი. ალბათ, მეეტლეს უძახის.

მე აღარ მახსოვს, როგორ მომიყვანეს სახლში გაზაფხულის იმ მშვენიერ საღამოს, როდესაც მიმავალ ცხოვრებას ვეძახდი.

მას შემდეგ სულ ვწევარ... ახლაც ვეძახი მას, ახლაც, მაგრამ არავინ ეხმაურება ჩემს ძახილს. არსაიდან ისმის საპასუხო გამოძახილი — იცოცხლეო!

ჩემი თვალით ვხედავ, როგორ დნება სიცოცხლე ჩემი, ვით სანთელი ცეცხლის ალზე, როგორ მშორდება და ქრება იგი, მაგრამ რა ვქნა, არ ითმენს ეს შეუპოვარი გული და კიდევ ვიძახი:

— სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე.

1915

უხილავს

უხილავმა აანთო ჩემს სულში სანთელი სიცოცხლისა.

ეს ღვთაებრივი სხივი ღვივის ჩემს სულში.

დიდხანს ვიდოდი მეც ქვეყნად... სინათლის სხივთა კონა თანდათან ძლიერდებოდა.

მაგრამ ვიღაცამ ამ სინათლის ჩაქრობა მოინდომა, მხოლოდ არ ჩაქრა ის, ისევ ძველებურად ისროდა ირგვლივ სხივთა ისრებს.

„ის სანთელი რომ ჩამქრალიყო რა იქნებოდა? — ჩამჩურჩულა იდუმალმა ხმამ, — რა იქნებოდა? რომ ცოცხლობ, რისთვისა ცოცხლობ და რომ მომკვდარიყავ, ვის რა დააკლდებოდა?"

მე პასუხი ვერ გავეცი იმ იდუმალ ხმას. დავფიქრდი... დავფიქრდი... დავფიქრდი და მაშინ მივხვდი, რომ უხილავმა, როდესაც აანთო ჩემში სანთელი სიცოცხლისა, არა თქვა, თუ რისთვის ანათოს, ან ვის უნათოს მან. დიახ, მას არ უთქვამს ჩემთვის, თუ რა იყო მიზანი ჩემი ქვეყნად მოსვლისა.

და მე არ ვიცოდი!

„არ იცოდი? — მეძახდა იდუმალი ხმა; — გაიგე, ეძიე..."

და მე გეძებ შენ, უხილავო, გეძებ ყველგან — სამლოცველოში, სადაც მუხლმოდრეკილნი ცხარე ცრემლის ფრქვევით გევედრებიან და მადლობას გწირავენ; ბუნების წიაღში — ტყეში, სადაც იდუმალი მყუდროება სუფევს; მინდორ-ველში, სადაც გაზაფხულის სიო ყვავილებისაგან გაგზავნილ კოცნას ტყისაკენ მიაქროლებს; სადაც ცივი ზამთრის ქარი ხარხარებს და სისინებს, თითქოს მცივანთა და მაშვრალთ დასცინისო; ზღვისა და მდინარის პირას, სადაც მოუსვენარი, ლურჯი, აქაფებული ტალღები ერთმანეთს ხვდებიან; გეძებ, უხილავო, გეძებ, რომ გკითხო — რა იყო მიზეზი ჩემი გაჩენისა, რა არის მიზეზი ჩემი ცხოვრებისა?

მაგრამ ვერსად გიხილე... შენ მე დამტოვე... შენ მე გამაჩინე და მიმატოვე.

მე გეძებდი შენ, ხოლო დემონი თან დამდევდა. მოდიოდა ჩემს სარეცელთან და ტკბილი ხმით ჩამჩურჩულებდა:

— ყველაფერს, ყველაფერს, რასაც კი მოისურვებ, მოგცემ შენ, თუ ჩემი გზით ივლი, ვინაიდან მე ვარ ღმერთი სინათლისა, ღმერთი კვლევისა და ძიებისა. მომყევ მე და მაშინ იხილავ, თუ რა არის სიცოცხლე. რისთვის მოხველ ქვეყნად. წამო, წამო... ავხსნი ფარდას ყველა საიდუმლოებას, ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს გაიგებ...

მე კი გელოდი, უხილავო, რათა შენ აგეხსნა ჩემთვის ამოცანა სიცოცხლისა, მაგრამ ვერ გიპოვე. შენ კი არ მოხველ ჩემთან. დემონი კი ისევ ჩამომძახებდა:

— მე, მე აგიხსნი საიდუმლოებას...

გეძებდი, უხილავო, და ვერ გიპოვე შენ...

მაგრამ თუ შენ უხილავად ბუნების ყოველ კუთხეში სუფევ, მე აი აქ, ამ ძველი ტაძრის ნანგრევებზე ვიდრეკ მუხლს შენ წინაშე, ყოვლად შემძლებელო, და შენი მონა და შენი ფეხთა მტვერი გევედრები, მიპასუხო:

— რისთვის გამაჩინე, რად განსაზღვრე სიცოცხლე ჩემი, გევედრები, განმიმარტე მიზანი ჩემი ცხოვრებისა...

— არ მაძლევ პასუხს?

მაშ ისევ უნდა ვიარო ქვეყნად, ვით წყვდიადით მოცულ უდაბნოში? მაშ ვერ ავხსნა მიზანი ცხოვრებისა, ვერ ვიპოვო ძალა სიკვდილზე ძლიერი?

როდემდის?

ისევ შენ, შენ მოგმართავ, დემონო, ღმერთო კვლევისა და ძიებისა. შენ მომეც ძალა, გავუმკლავდე ულმობელ სიკვდილს, ახადე ფარდა საიდუმლოებათა შენთა, ჩამოხსენ შავი რიდე შენს სამეფოში შესასვლელ კარებს... მასწავლე, როგორ შევებრძოლო სიკვდილის შავ აჩრდილს, მაჩვენე გზა, რომლითაც ჯან-ღონით სავსემ ვიბრძოლო და გავხსნა ჯადოსნური კვანძი ჩემი ცხოვრებისა.

მე შენთან მოველ.

დაე, იგრგვინოს ცამ, იმრისხანოს, აენთოს ცეცხლად — მე მან ვერ მომცა, რაც უნდოდა სულს დაობლებულს; მან არ გამოსცა რამ პასუხი მაძიებელ სულს.

ან სხვა გზით ვივლი...

კვლავ ვძებნი ყოფნის გასაღებს და გარდავქმნი სულს...

1915

ისინი ცხოვრებას ქმნიან

უთვალავი იყო მათი რიცხვი და აუტანელი მათი შრომა. ბუნების უმშვენიერეს კუთხეში მოეყარათ მათ თავი და მუშაობდნენ.

ქალაქს აშენებდნენ ისინი.

მაგრამ ქალაქი იგი უნდა ყოფილიყო შეუდარებელი სილამაზისა. მზის სხივებზე უნდა ებრწყინათ ძვირფას ქვებისგან ნაშენ სახლებს, ხოლო ქუჩის კუთხეებში ძეგლები უნდა მდგარიყო, სახელოვან მიწის შვილთა სადიდებლად.

და შრომობდნენ ადამიანები და ამშვენებდნენ ქალაქსა მას... მზად იყო ყოველივე, მხოლოდ ერთი ტაძარი, ტაძარი ხელოვნებისა არ იყო დამთავრებული...

ტაძარი იგი კი თვალი იყო ქალაქისა. კაცობრიობას არ ენახა მასზე ულამაზესი რამ... გენია მიწის შვილთა გაიშალა ამ ტაძრის აშენებაში...

დიდხანს, ძლიერ დიდხანს აშენებდნენ ადამიანები ამ ტაძარს. მრავალი კაცი მუშაობდა და მოკლე ხანში უნდა დაემთავრებინათ.

და დამთავრდა ტაძარი იგი... მიაღწია ხალხმა საწადელს...

შემდეგ გავიდა ხალხი ქალაქის გარეთ, მახლობელ მთაზე და დაუწყო ცქერა თავის ქმნილებას. ხალხი სტკბებოდა ქალაქის ცქერით, აღტაცებაში მოდიოდა ხელოვნების ტაძრის სიმშვენიერით.

გავიდა ხანი.

ერთ დღეს, როცა ხალხი ქალაქის გარეთ გასულიყო და ტაძრის მშვენიერების შორიდან ცქერით სტკბებოდა, ერთმა ხუროთმოძღვარმა მეგობარს უთხრა:

— ხედავ, აი, იმ გუმბათის წვერი რომ ცოტათი მაღალი იყოს და კუთხიანი, უფრო ლამაზი იქნებოდა...

მეგობარი მას დაეთანხმა — მართლაც ასე აჯობებდაო...

შემდეგ ხალხმა უფრო მეტი ნაკლი შეამჩნია თავის ქმნილებას და ბოლოს თვით ხელოვნების ტაძარს, იმ ტაძარს, რომლის აგებას ადამიანებმა საუკუნეები მოანდომეს — ხელოვნების იმ ტაძარსაც ნაკლი უნახეს...

დაიჩრდილა სილამაზე შენობათა და გაისმა ხმები:

— ავაშენოთ ახალი... აი, იქ, მაღლობზე ავაგოთ ახალი ტაძარი, თვით ზეცას რომ გუმბათით მიებჯინოს!

— ავაშენოთ ახალი, ხოლო ძველი დავანგრიოთ; მხოლოდ ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი!

და ისმოდა ყვირილი, და ვერ გადაეწყვიტათ ადამიანთ, თუ რა ექნათ.

— არა, ძველის ნანგრევებზე უნდა ავაგოთ ახალი! — ყვიროდნენ ერთნი და გამოჰქონდათ გამანადგურებელი იარაღები.

— არა, ნუ, ნუ ვიქმნთ მაგას! — გაიძახოდნენ მეორენი, მაგრამ არავის ესმოდა მათი.

ზარბაზნები ანადგურებდა ქალაქს... ათასი წლის ნაშრომ-ნაღვაწი სულ ცოტა ხნის განმავლობაში მტვრად აქციეს... ანგრევდნენ სახლებს, ანგრევდნენ ძეგლებს...

სწვავდნენ და ანადგურებდნენ, რაც რამ მშვენიერი და ლამაზი იყო ქალაქში...

და ხედავდა ყველა ამას უცნობი კაცი, მოსული უცხო, შორეული ქვეყნიდან, და ასე იკითხა მან:

— რასა შვრებიან ისინი, რასა?

და უპასუხა მას ვინმემ ხალხიდან:

— ისინი ცხოვრებას ქმნიან...

— ცხოვრებას?!

— დიაღ, ცხოვრებას ქმნიან ისინი. ჩვენ ათასი წლობით ვაშენებთ და ვამშვენიერებთ ჩვენს წმიდათა-წმიდას... ვშრომობთ, ვიღწვით და მიზნისაკენ მივისწრაფვით... და როცა მიზანს მივაღწევთ, ჩვენ ვჩერდებით. ვანგრევთ ჩვენს წმიდათა წმიდას და ძველი ტაძრის ნანგრევებზე ახალს ვაგებთ... ახალ ღმერთს ვცემთ თაყვანს. შენ ხომ ხედავდი მშვენიერების ტაძარს, ახლა მას ვანგრევთ... და არ ვნაღვლობთ, რომ ვანგრევთ... ჩვენ ის განა არ გვიყვარდა, მაგრამ განა სიყვარულისთვის შეჩერდება ცხოვრების მსვლელობა?.. ჩვენ ის უნდა დაგვენგრია, რომ ისევ დაგვეწყო... და ისევ ამოძრავებულიყო ცხოვრება... მხოლოდ ჩვენ ამ ძველს ვანგრევთ ახალის სახელით, მშვენიერებას ვანადგურებთ უფრო მშვენიერის გულისათვის. და ასე მივდივართ... დიახ, ეს არის ქმნა ცხოვრებისა და ხედავ, ისინი ქმნიან ცხოვრებას...

და ისმოდა ხრიალ-ხრიალი და ინგრეოდა ტაძარი იგი მშვენიერი...

— ისინი ცხოვრებასა ქმნიან, ათასი წლობით ნაშრომს ერთ წუთში ანადგურებენ, რომ ისევ ხელახლა დაიწყონ შრომა, ცხოვრება?!

და უცნობმა კაცმა, მოსულმა შორეული უცხო ქვეყნიდან, თავი ჩაღუნა და განშორდა ადამიანთ, რომელნიც აშენებენ იმისათვის, რომ ბოლოს გაანადგურონ, უყვართ იმიტომ, რომ მალე შეიძულონ.

1915

ფუთები ცხოვრებისა

— შვილო, შვილო!.. — ისმოდა შვილის სიკვდილით გულდათუთქული დედის მწარე ქვითინი, — შვილო!

სწუხდა დედა, მწარე ცრემლებს აფრქვევდა...

მწუხარება იყო ჩაქსოვილი მუსიკის მკვნესარე ჰანგებში... კვნესოდა მუსიკა... სტიროდნენ ათრთოლებული ხმები.

ხალხი ნელ-ნელა მიჰყვებოდა ახალგაზრდა ვაჟის ცხედარს, ამხანაგები გარს ერტყენ უდროოდ დაკარგულის კუბოს. ჩაქრა უდროოდ ლამპარი ცხოვრებისა. სიკვდილის ბასრმა ცელმა გასჭრა ძაფი ახალგაზრდა სიცოცხლისა. ახლად გათხრილი სამარე უცდიდა მას. გაუმაძღარი მიწა ელოდა თავის შვილს.

აი, სასაფლაოც...

შეწყდა მუსიკის ხმები. შეჩერდა ხალხი და თავმოხდილი საფლავთან გაჩერდა.

დედის გულშემზარავი „შვილო" ისევ გაისმოდა ირგვლივ...

* * *

— ბიჭო, ვასო! მგონია ვიღაცას ასვენებენ. გაიტანე ერთი დოქი წყალი, სიცხეა, იყიდიან, იქნება ორი კაპიკი აიღო, — უთხრა პატარა ვასოს მამამ.

ვასომ უცბად აავსო დოქი ცივი წყლით, წამოავლო ჭიქას ხელი და გაექანა სასაფლაოსაკენ...

* * *

„საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“, — გაისმის სამლოცველო ხმები. სამგლოვიარო ჰიმნს უკრავს მუსიკა. ყველას ცრემლი მოსდის... „შვილო, შვილო“, — ქვითინებს გულდამწვარი დედა.

— ცივი წყალი, აბა კარგი ცივი წყალი, ბატონებო, — გაისმის ვასოს ხმა, — ცივი წყალი.

ის გარბის ხალხში და აგროვებს კაპიკებს.

დაიშალა ხალხი.

* * *

— იშოვე, ბიჭო, რამე? — ჰკითხა მამამ ვასოს.

— აი, — და მან სიცილით დაირტყა ჯიბეზე ხელი, — აი, ერთი, ორი, სამი... ერთი აბაზია სულ.

— ბიჭოს! გივარგია. წადი და იყიდე ახლა ის რვეული, გუშინ რომ მთხოვდი... წადი.

ბავშვი სიცილით გაექანა დუქნისაკენ რვეულის საყიდლად.

მახლობელ სასაფლაოდან კი ისევ მოისმოდა ქვითინი და გოდება ბედშავი დედისა:

— შვილო, გენაცვალე, შვილო!

1915

ყოველიგე წარმაგალია

ღამე იყო...

ის იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და ფიქრობდა. სანთლის გარშემო პეპლები დაფარფატობდნენ, ეხვეოდნენ, არ სცილდებოდნენ მას, თუმცა ნაზი ფრთები ალზე ეწვოდათ. ის მისჩერებოდა ამ სინათლეს და ფიქრობდა, ხოლო ფიქრი მისი შორს იყო. ფიქრში გართული არც კი გრძნობდა, რომ ამ პატარა, ღარიბად მორთულ ოთახში იჯდა... ბედნიერად გრძნობდა ის ახლა თავის თავს. მასაც გაუღიმა ბედმა, მისკენაც მოიხედა, მისი მწყალობელიც გახდა.

ის ცნობილი მწერალი შეიქნა.

სახელი და დიდება ახლა მასაც ჰქონდა.

ყველა კითხულობდა მის ნაწერებს. ის ახალგაზრდობის სათაყვანებელი კერპი გახდა და თანამედროვე ლიტერატურის მნათობთა შორის საპატიო ადგილი დაიჭირა.

მან მიზანს მიაღწია და მხიარული, ბედნიერი იყო ამით, ფიქრის ფრთებზე დაფრინავდა ოცნებათა სამეფოში... სიამოვნების ღიმილი ქროდა მის ტუჩებზე... ის ახლა სიყვარულსაც ელოდა. და იმედი ჰქონდა, რომ საყვარელი არსება მასაც შეიყვარებდა. მისი ბედნიერება ხომ მაშინ განუსაზღვრელი იქნებოდა?

ამგვარ ფიქრში ჩაეძინა მას იმ ღამეს.

* * *

განვლო ცოტა ხანმა.

ის არ მოტყუვდა. სატრფიალოა არსებამ მას სიყვარულითვე უპასუხა და არ უჩანდა საზღვარი მის ბედნიერებას.

მისი ახლანდელი ბინა აღარ ჰგავდა ძველ, მყუდროებით მოცულ ბინას, რომელშიაც მხოლოდ მისი საკუთარი ფეხის ხმის მეტი არა ისმოდა.

ახლა ის მდიდრულად მორთულ სახლში ცხოვრობდა. ყოველღამე ბრწყინვალედ განათებულ ოთახებში ნახავდით ლამაზად ჩაცმულ ქალ-ვაჟს, რომელნიც ტკბილ მუსიკის ჰანგებზე ნელა ფეხს უწყობდნენ და მისრიალებდნენ მოელვარე იატაკზე. დაიწყო მხიარულება და ნადიმი მის სახლში და ბედნიერი იყო იგი.

* * *

მეგობრები გარს ეხვივნენ შინ და გარეთ... ართობდნენ მას, რჩევა-დარიგებას აძლევდნენ საჭიროების დროს და ყოველთვის ერთგულებას იჩენდნენ.

მასაც უყვარდა, გულწრფელად უყვარდა ისინი და არა ერთჯერ უფიქრია, მათთვის თუნდაც ცეცხლშიაც გავივლიო...

* * *

განვლო დრომ. საშინელმა, ულმობელმა დრომ... დრომ მოსტაცა მას დიდება და სახელი, გააქრო ვით ნისლი მზიან დღეში, ვით კვამლი ცის სივრცეში... დიდება და სახელი ისე უცბად გაქრნენ, როგორადაც უეცრად და მოულოდნელად მოვიდნენ.

თანდათან ავიწყდებოდა ის ყველას... ბოლოს ტალღამ დავიწყებისამ მას სულ გადაუარა, ის თითქოს ცოცხლად დამარხულს დაემსგავსა. ყველამ ზურგი შეაქცია...

ერთგული მეგობრები, რომელნიც მისი ხშირი სტუმრები იყვნენ, რომელნიც მას ყოველ წუთს თავის ერთგულებას უმტკიცებდნენ, ისინიც ჩამოშორდნენ, მათაც მიატოვეს.

და როცა ის ქუჩის ერთ მხარეზე მიდიოდა, თუ იმავე მხრით მომავალი მისი ყოფილი მეგობარი შეხედავდა, ის მეორე მხარეს გადმოდიოდა, თვალს არიდებდა.

საყვარელმა არსებამაც მიატოვა იგი... სახელთან ერთად სიყვარულიც გაქრა... სახელთან ერთად მან სიყვარულიც დაასამარა...

გაქრა მისი სიმდიდრეც... ღარიბმა შემოდგა ფეხი ცხოვრებაში და ისევ ღარიბი ეთხოვებოდა მას.

* * *

და გაქრა ყოველივე...

დარჩა ის მარტო... მის პატარა ოთახში სანთელიც არ ენთო ხშირად... მყუდროება სუფევდა შიგ. მხოლოდ ხანდისხან ისმოდა მძიმე ხველა მისუსტებული ადამიანისა და ნელი კვნესა. ის ახლა იწვა. იწვა და სულ

ფიქრობდა. მხოლოდ მისი ფიქრების საგანი ახლა წარსული იყო. მოგონებანიღა ასულდგმულებდა მას. მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ წარსული აღარ დაბრუნდება, რომ ის, ახლა ყველასაგან მივიწყებული, კვლავ არ აღსდგება, არ გაახსენებს საზოგადოებას თავს, არ იტყვის უკანასკნელ სიტყვას, ვით გედი სასიკვდილოდ განწირული!

ღამის წილ დღე დგებოდა, დღის წილ კიდევ ღამე... და ასე ერთფეროვნად მიდიოდა დრო...

გაზაფხულის დილა იყო...

დილის მზე უხვად აფრქვევდა სამყაროს თავის ცხოველმყოფელ სხივებს. თანასწორად ათბობდა და უნათებდა იგი ყოველსა და ყველაფერს... და სამყაროც ხალისობდა... მის ოთახშიაც შეიჭრა ოქროს სხივთა კონა და გაანათა იგი, ბნელით მოცული.

ის იწვა, უძრავი იყო სხეული მისი... ამაოდ ეთამაშებოდნენ მას მზის სხივები, ამაოდ ეძახდნენ სიცოცხლისაკენ... ის უძრავი იყო. მის გაციებულ მიწისფერ სახეს ვეღარ ათბობდნენ მზის სხივები...

საწოლის წინ მაგიდაზე სანათი იდგა... საწერელი... იქვე იდო ქაღალდიც... ზედ არაფერი ეწერა გარდა სუსტი ხელით გამოყვანილი ორი სიტყვისა: „ყოველივე წარმავალია".

ალბათ, ეს მისი ახალი ნაწარმოების სათაური იყო...

მაგრამ სასტიკ სიკვდილს არ ეცლია მისთვის, მას აღარ დასცლოდა უკანასკნელი სიტყვის თქმა...

და მზით განათებულ საწოლზე ახლა მისი უსულო გვამიღა იდო...

1915

„MEMENTO MORI“

ბორცვებიან ნაპირებიდან მისცურავს პატარა ნავი მობობოქრე ზღვის შორეულ ტალღებში.

მისრიალებს ნავი მჩქეფარე ტალღათა შორის... ის თითქოს ტალღად გადაქცეულა, ისე ევლება თავზე მაცდურ აქოჩრილ ტალღებს...

მისცურავს ნავი და ეთხოვება იგი შორეულ ნაპირებს... მიწას... ეთხოვება მის მშვენიერ ამწვანებულ მდელოებს, მის მედიდურ მთებსა და დაფიქრებულ ტყეებს, მოჩხრიალე ნაკადულებსა და დინჯად მსრბოლ მდინარეებს... ყველაფერს სტოვებს ნავი... ყველაფერი ეთხოვება მას... ხოლო ვერ სცილდება მას, ნაპირებისაგან განშორებულს, საღამოს სუნთქვა — ცელქი ნიავი. და თითქოს ძილში, თითქოს სიზმარში ჩასჩურჩულებს გულად მეზღვაურებს:

— *გახსოვდეთ სიკვდილი.*

—

ტკბილად მღერის ნალკოტზე ბუნების შვილი. მისი ხმათა ბგერა ატკბობს ყოველივე არსს და უსმენენ ისინი მონარნარე ხმებს, ვით გველი სალამურის კვნესას... ამ სიმღერაშიაც ისმის მწარე კვნესა გულისა... დარდი და ვარამი მინის შვილებისა... და ნაღვლიანად იცქირება ყოველივე. ცხოველთა და ადამიანთ მორევიათ რაღაც სევდა... ტყესაც მძიმედ დაუხრია თავისი მწვანე ქოჩრიანი თავი. ყველა სევდით შეუპყრია მომღერალის ჯადოსნურ სიმღერას, ხოლო ამ სიმღერის აკორდებში გამოისმის ორი სიტყვა, რომელსაც ვერასოდეს ვერ ივიწყებს ადამიანი:

— *გახსოვდეს სიკვდილი... გახსოვდეს...*

—

როდესაც გაცივდება პირველი კოცნა შეყვარებულთა, როდესაც ბედნიერების „ლურჯი ჩიტი" უკვე დაჭერილი ჰყავთ, როდესაც სიყვარულის ნაზი ფრთებით ისინი ფრენენ საოცნებო ქვეყანაში და ბედნიერებისა და ნეტარების ჰიმნსა ქმნიან — მათ სიტყვასა და მღერას სწამლავს იგივე ხმები, იგივე სიტყვები არღვევს სიყვარულით შექმნილ ჰარმონიას:

— *გახსოვდეს სიკვდილი!*

—

როდესაც სამარადისო მზე ნელნელა აშორებს ოქროს სხივებს საყვარელ დედამიწას, როდესაც საიდუმლო ბინდი მოიცავს მიწის სივრცეს და შავი ღამე სუდარასავით გადაეფარება მთვლემარე მიწას — მაშინაც ნელი სიო ძილს უფრთხობს დაღლილ ქვეყანას და ჩასძახის დაჟინებით:

— *გახსოვდეს, გახსოვდეს სიკვდილი...*

—

როდესაც აყვავებულ-ამწვანებული ბუნება ლაღობს და ნეტარობს, როდესაც ყოველი არსი მადლობითა და დიდებით იხსენიებს სახელს მიუწდომელი უხილავისას, როდესაც ყოველივე თავდავიწყებით დასწაფებია დაუშრეტელს ნექტარს სიცოცხლისას, — ელვის სისწრაფის დაივლის მთელს სამყაროს გველის სისინის მსგავსი ხმა:

— *გახსოვდეს სიკვდილი, გახსოვდეს...*

—

როდესაც ადამიანს პირველად თვალები აეხილება, როდესაც შორეულ, უცხო და გამოუცნობ ქვეყნიდან შემოდგამს ის ფეხს ამა ცხოვრების ბჭესა, როდესაც მას ნეტარებისა და სიამოვნების თვალით შეჰყურებენ მშობლები და ახლობელნი, ავედრებენ მას უხილავს და უსურვებენ დღეგრძელობას, — არც მას შორდება ეს საიდუმლო ხმები... პირველი ხმა, რომელიც შემოესმის მას ამა ქვეყანად, არის ის საშინელი სიტყვები... და სტირის, სტირის ნორჩი ადამიანი... ჰგოდებს, რომ სიცოცხლის კარებთანვე ჰხვდება მას საშინელი აჩრდილი და ჯოჯოხეთური ღიმილით ჩასჩურჩულებს მას:

— *გახსოვდეს სიკვდილი...*

—

ფართო და ლამაზია ქვეყანა... მშვენიერი და წარმტაცია ცხოვრება! მაგრამ ვით მზის სითბო-სინათლეს ასუსტებს ზეცათ გაკრული შავი ღრუბლები, ვით ცივი ზამთარი ადუნებს და ანელებს ძგერას ბუნებისას, ისე ანელებს და ასუსტებს ალსა და სილამაზეს ცხოვრებისას ეს ძახილი... და ევლება გარს საშინელი ხმები ტანჯულ მიწას და ისმის კიდით კიდემდე ერთი ხმა:

— *გახსოვდეთ, გახსოვდეთ სიკვდილი...*

— „Memento mori“!

1916

მთის მდინარე

მიყვარს, მიყვარს შენი შეუწყვეტელი ხმაური, შენი მუდმივი ბრძოლა, შენი მქუხარე უკმაყოფილებით სავსე ხმა.

მე ყურს ვუგდებ შენს ბრძოლის ჰიმნს, შენს იმედიან სიტყვებს. ვხედავ შენს უკმაყოფილებას ამ კალაპოტისადმი, ვხედავ, თუ როგორ ებრძვი შენ მას, როგორ გსურს შეანძრიო ქვები მის ფსკერზე, დაამხო ის და

თავისუფლად საკლელი გზა გაიკაფო... ვხედავ ყველა ამას და გული მიმაგრდება, იმედით მევსება — მე მაგალითს ვხედავ ბრძოლაში შეუდრეკელობისას...

მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა შენს ნაპირებს შემოვეჩვიე; შენ ეგეთი გიჟმაჟი, ეგეთივე შეუდრეკელი იყავი მაშინაც, მაშინაც ეგეთივე სისასტიკით და თავგამოდებით ებრძოდი ამ სულის შემხუთველ ნაპირებს, კლდეებს.

მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. ჩემი არსება ბრძოლით მოიღალა, შენ კი?.. შენ ისევ იბრძვი, ისევ ახალგაზრდულად ეხეთქები შეუპოვარ კლდეებს, ისევ ძველი გამამხნევებელი ჰანგები ისმის შენს სიმღერაში. დიახ, შენ მუდამ ახალგაზრდა ხარ, მოუსვენარი, დაუღალავი, შეუდრეკელი...

დაბადებიდან, იმ დროიდან, რაც ფეხი აიდგი ამ მთის კალთებზე, მას შემდეგ შენი ხმა არ შეწყვეტილა. შენ ისე არ გაგიქანებია შენი ლურჯი ტალღა, რომ კლდე-ნაპირისათვის არ მიგეხეთქებინა.

მიყვარხარ!..

მიყვარხარ იმიტომ, რომ იბრძვი, რომ შენი სული ვერ შერიგებია მყუდროებას, რომ მოძრაობ, ცოცხლობ...

ცოცხლობ და კვდები, ჰკლავ და სიცოცხლეს ანიჭებ...

ამისათვის მიყვარს შენი იდუმალი ხმა, გაუგებარო, მიყვარს ისე, როგორც გაუგებარი, მაგრამ წარმტაცი სრბოლა ცხოვრების ტალღებისა...

1916

მდუმარება

(შორეულ მეგობარს)

როდესაც ჩვენ ბნელით მოცულ ოთახში ერთად ვზივართ და მხოლოდ თვალთა სხივით ვწვდებით სიღრმეს ურთერთის სულისას და სული ჩემი შენს სულს უახლოვდება, მე მსურს, მეგობარო, გაუწყო გულისნადები ჩემი, მინდა შეგატყობინო, თუ რას ეძიებს აზრი ჩემი, რას ეძახის დაობლებული სული ჩემი.

მინდა, მაგრამ...

ვდუმვარ, მეგობარო, რადგან სუსტია სიტყვა გადმოგცეს ძახილი ჩემი სულისა; მას არ ძალუძს გამოხატოს გრძნობათა ღელვა.

ბნელია კუთხე ადამიანის გულისა და სუსტი სიტყვა ვერ გაანათებს მას. არ ძალმიძს ეს მე, მეგობარო, და ვდუმვარ... ვდუმვარ.

ვდუმვართ ჩვენ ორივენი.

მაგრამ იცი, რა დიდია ჯადოსნური სამეფო მდუმარებისა?

და რად გინდა სიტყვა ცბიერი, სიტყვა გესლიანი და მაცდური? უკუაგდე ის. დაე, მდუმარებამ მოიცვას ბაგენი შენნი და ნუ მოშხამავ სიტყვით წმიდა გრძნობათა ნაზ თაიგულს.

ჟამსა მდუმარებისასა გაიგებ შენ, თუ რას ეძახის სული ჩემი. გაიგებ მის სევდას, გაიგებ, თუ რით იტანჯვის გრძნობა და რას ეძიებს დაუღალავი აზრი მაძიებელი ადამიანისა...

და დაკარგულად ჩასთვალე შენ დღენი, როდესაც მდუმარებას არ მოუცავს ბაგენი შენნი, მდუმარებით არ გისაუბრია შენს სულთან...

ნუ გეშინია მდუმარებისა, ვინაიდან იგია დასაბამი ბრწყინვალე საქმეთა, იგია აკვანი წმიდა გრძნობათა გამზრდელ-გამფურჩქვნელი.

დიდია მდუმარება და საშინელიც არის იგი, ვინაიდან მდუმარებაში სწყდება სიმები იმ ზღაპრული ქნარისა, რომელსაც სიცოცხლეს ეძახიან, მდუმარებაში იწერება შავი ფურცლები შენი ცხოვრებისა და სამარადისო მდუმარება შთანთქავს მას.

საშინელია მდუმარება, ვინაიდან ამ მდუმარებაში გაიგონებ შენ ჯოჯოხეთურ ხარხარს ცხოვრების ჯალათისას და შავი მდუმარება გაქცევს უფერო არარაობად...

მაგრამ მაინც გიყვარდეს მდუმარება, ვინაიდან მხოლოდ მასში ჰპოვებ შენ ძლიერებას შენსას, ვინაიდან მდუმარებით ჩაიხედავ სულის სიღრმეში და დაინახავ სახეს ადამიანისას.

მდუმარებდე შენ, მეგობარო, და დაკარგულად ჩასთვალე ის დღე, როდესაც შავ მდუმარებას არ მოუცავს განუსაზღვრელი სიღრმე შენი სულისა.

და მდუმარებდე შენ, მეგობარო!

1916

სიზმარი

მე მაშინ მეძინა... ღრმად მეძინა და სიზმარში ვიყავი და სიზმარი იგი იყო საშინელი, შემზარავი და ცივი ოფლი მდიოდა ტანზე...

მესიზმრა, ვითომ თვალგადაუწვდენელ დაბლობზე ვიდექი. ირგვლივ არავითარი მცენარეულობა არ იზრდებოდა. მხოლოდ შორს, იქ, სადაც მიწა ზეცას უერთდება, მოჩანდა შორეული ტყის ზოლი, მოჩანდა კვამლი, ვით ნისლი მიწისაგან ანაორთქლი...

მეორე მხრივ კი ზღვა მოჩანდა, მაგრამ ზღვა თითქოს შეზრდოდა ხმელეთს და ვერ გაარჩევდი, სად იწყებოდა ზღვა, სად მთავრდებოდა ხმელეთი...

და ირგვლივ სიჩუმე იყო.

არ ისმოდა არავითარ არსთა ხმა და მე — ერთადერთი სულიერი, რაღაც განგებით ამ უდაბნოში გადმოვარდნილი, ვიდექი ერთ ალაგას და გავსცქეროდი თვალგადაუწვდენელ სივრცეს. ვიდექი და შიშის ჟრუანტელი მივლიდა ტანში. მეშინოდა ამ მარტოობისა, მეშინოდა ჩემი ხმისა, ჩემი ლანდისა, მეშინოდა თვით ჩემი თავისა... და შიშის გასაქარვებლად ვიწყე სირბილი...

ვიდოდი დღით, ვიდოდი ღამით, ვიდოდი მზისა და ვარსკვლავთა სინათლეზე... და მშიერი, მწყურვალი, დაქანცული და ღონემიხდილი მივედი იქ, სადაც ზღვა

ხმელეთს პირსა ჰბანდა... სადაც იწყებოდა უღრანი ტყე და იკარგებოდა ნასახი მხეცთა მიერ თელილი გზისა.

და ვიჯექი ხის ძირას და გავსცქეროდი მზის სხივებზე მოელვარე ზურმუხტის ზღვას.

წერტილი რაღაც გამოჩნდა ზღვაზე. იზრდებოდა წერტილი და იგი უახლოვდებოდა ნაპირს ზღვისას.

და მოადგა ნავი ნაპირსა მას.

შიგ სამი მხედარი იჯდა მკაცრი, საშინელი სახისა, რკინასა და ფოლადში ჩამჯდარი და შუაზე მათ ქალი ეჯდათ, შვენება ქალი, შვილი ზეცისა, მინაზე ჩამოფრენილი.

და გადმოსვეს მხედართ ქალი იგი ნაპირსა ზედა, ანამეს. შეურაცხყვეს, ნამუსი ახადეს და დააგდეს ზღვის პირას და გაეშურნენ ნავისაკენ. მაგრამ მობრუნდა ერთი ვნებით შეშლილი, ვნებით მთვრალი მხედარი, იძრო დანა, დასცა გულს მდელოზე დაგდებულ ქალს.

იკვივლა ერთი სუსტად და იფეთქა ანკარა სისხლმა ასულის მკერდიდან და წითლად შეღება მდელო იგი...

— მოკვდა, მოკვდა.

და წამოვიჭერ ზეზე. მივვარდი ქალწულს... ის კვდებოდა.

— როგორ გიშველო, უბედურო, როგორ?

და გადმომხედა მან დიდრონი თვალებით და თქვა ნელი ხმითა:

— ვეღარ, ვეღარ მიშველი... მოვკვდები და არ არს საშველი ჩემი. ოდესმე აღვსდგები... მაგრამ... მანამდე საჭიროა ის მტარვალები აქ მოვიდნენ თავისი ნებით. სინანულის ცრემლით განბანონ სიხლი მათ მიერ დანთხეული. და მისცენ მათ ერთმანეთს ფიცი საშინელი, რომ არასოდეს დაიღვრება მათგან წმიდა სისხლი

ადამიანისა, არ დაიჩაგრება მათ მიერ არსება სუსტი და უძლური... და მაშინ... სული ჩემი ისევ აღადგენს სხეულსა ჩემსა... — და მან ვეღარ დაათავა სათქმელი, გაქრა სანთელი, შავი ფრთა სიკვდილისა გადაეფარა მის სხეულს.

* * *

და ვგოდებდი მე და არ ჰქონდა საზღვარი წუხილსა ჩემსა.

ავედი ხეზე და ვიძახდი... ვუხმობდი ადამიანთ, ვუხმობდი წარსულ მხედართ, რათა შეებრალებინათ ეს საერთო ქმნილება ზეცისა და მიწისა... მაგრამ არავის ესმოდა ჩემი ძახილი... ჩემი ხმა იკარგებოდა... ქრებოდა... თითქოს არ მეყვიროს, თითქოს არ მეძახოს...

მაგრამ კიდევ ვიყვირე... მოვიკრიბე ძალა და ვიყვირე... და გამომეღვიძა.

* * *

მომცვივდნენ შინაურები.

— რა იყო, რა დაგმართვია, რა მოხდა? — მე კი ვერ განმეშორებია ტანჯული სახე ქალწულისა და თითქოს შეშლილი ვიძახდი.

— მოკვდა... მოკლეს... მტარვალები...

შინაურები კი ისევ მეძახდნენ:

— ადექ, ადექ, აღდგომაა.

ისმოდა მხიარული კოცნა, „ქრისტე აღსდგა", ოთახში ზარების გრიალი შემოდიოდა. ახმაურებულიყო გაღვიძებული ქალაქი.

— ქრისტე აღსდგა, შვილო... ქრისტეს აღდგომაა, — მეუბნებოდნენ მე.

— მოკვდა... მოკვდა, — ვბუტბუტებდი მე და ნელ-ნელა ვიცვამდი...

გაკვირვებით მიყურებდნენ და ვერ გაეგოთ, თუ რა დამემართა. და ვერავის ვახარე იმ დილას მე ქრისტეს აღდგომა. და ვერც დავიჯერე ნათქვამი სხვისი და ვერ, ვერ ვთქვი „ჭეშმარიტად“.

* * *

ვით ვთქვა მე სასიხარულო სიტყვები: „გიხა-როდეთ, აღსდგა ქრისტე“. როგორ ვთქვა მე ეს?

ვერა, მე ვერ ვიტყვი ამას... ის მოკლეს ვერაგებ-მა... მოკლეს მშვენიერება და ვით ვთქვა მე აღსდგა-თქო.

არა, ჯერ მშვენება იგი, სიმბოლო ცხოვრებისა, მკვდარია... ჯერ ისევ თბილი სისხლი მოსდის მას განგ-მირულ მკერდიდან...

შევერთდეთ... ვიბრძოლოთ და მოვუნოდოთ ყვე-ლას... და შევასრულოთ ანდერძი ღვთაებრივ მშვე-ნიერისა...

და იქნებ აღსდგეს ის... იქნებ აღსდგეს ის — მშვე-ნება და სილამაზე ქვეყნისა.

— და ყველამ ვსთქვათ მაშინ: „აღსდგა, აღსდგა, გიხაროდენ-თქო“.

ყველამ ჩამოვკრათ სიხარულის ზარს, შვებითა და სიხარულით მივულოცოთ ერთმა მეორეს **მისი** და **ჩვე-ნი** აღდგომა.

და მეც ვიტყვი მაშინ, რომ ის აღსდგა, ვიტყვი:

— აღსდგა ჭეშმარიტად.

და ჯერ კი...

1916

მელანქოლია

რა შორს არის ეს ბაღი ქალაქიდან, — „ქალაქის ბაღი“ — კი ჰქვია. უნდა დაგლიჯო ერთი წყვილი ფეხსაცმელი ბაღში მისვლამდე და სახლში ფეხშიშველა დაბრუნდე. ეტყობა, აქაურებს ძლიერ ჰყვარებიათ სიარული. რას იზამ! ისინი ხომ მანანწალასავით არ იანგარიშებენ, რამდენ ფეხსაცმელს დაგლეჯენ, ან რამდენ კაპიკს ზედმეტს მისცემენ მეეტლეს... სამაგიეროდ უზომოდ ყლაპავენ ქალაქის მტვრით სავსე ფილტვებით ამ ზღვისა და ფიჭვნარის ჰაერს.

მაშ როგორ გეგონა — რისთვის იანგარიშებენ...

კიდევ კარგი, რომ ღმერთს ფილტვებით სუნთქვა გაუჩენია, თორემ მუცლით რომ სუნთქავდნენ, შენი მტერია, შენ არაფერი დაგრჩებოდა. აქ ჩამოსული მოაგარაკენი თითქმის ყველანი ხოლმოგორის ჯიშის არიან — დაუსივებიათ მუცლები და დადიან ნელა-ნელა, თითქოს შიშობენ, მიწა არ გაგვისკდესო.

მივდივარ ბაღში და ვესაუბრები ჩემს თავს... აბა, არ ვესაუბრო? მართალი თქვა ტიუტჩევმა.

Молчи, скрывайся и таи
И все-же - кто поймет тебя?

აბა, ვინ გაიგებს ახლა, თუ რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში... იქნება ცეცხლი სრულიადაც არ ტრიალებს, და ჩემს მუცელში, მით უმეტეს, იქნებ სრულიად არაფერიც არა ტრიალებს...

ჰოდა, მიდი და უთხარი ახლა რომელიმე მოსეირნეთაგანს — ჩემს მუცელში არაფერი არ ტრიალებსთქო...

მაგრამ რაღა ეს ბაღი ამოვირჩიე მეც... ჩამოჯექი აგერ თხრილის პირზე და იოცნებე და იფიქრე, სანამ გსურდეს... ვითომ დიდი სოვდაგარი ხარ ამ ქალაქში, რომ ვინმემ გიცნოს და შეგრცხვეს...

ესეცაა, რომ საეჭვო შეხედულებისა ხარ... მეტად დემოკრატიულად გამოიყურები, მეგობარო, და ვაითუ ერთგულმა წესიერების დამცველმა გამოგისტუმროს აქ უკანვე...

მოქალაქე ვარო?.. ხა, ხა, ხა, ხა!

ყველა შენისთანა მოქალაქე რომ იყვეს, მალე აშენდება ჩვენი ქვეყანა, მაგრამ რა გაეწყობა... აი, ბაღიც აგეთ არის... აბა, გადაავლე თვალი ამ მოსეირნე ხალხს, როგორ მოგწონს?

მართალი უნდა თქვას კაცმა, მშვენიერება კია ეს ბაღი... შორიდან გრძნობ ფიჭვისა და კვიპაროსის სუნს ყვავილთა სურნელებაში შერეულს. რა ყვავილი გინდა, რომ აქ არ იყოს — წითელი, ვით თავისუფლების სურვილი, თეთრი, ვით სიკვდილის მოგონება, ყვითელი, ვით გაზაფხულის ოცნება. აგერ თითქოს შავი ყვავილებიც კი არის, თეთრი ფერადებით გადახაზული...

როგორი სწორი და შნოიანია კვიპაროსის ხეები. ამბობენ, კვიპაროსის ხე წმიდა კაცის გულზე ამოვიდა პირველადო და, როგორც განსვენებული იყო მართა-

ლი და სწორი ცხოვრებაში, მის საფლავზედ ამოსული ხეც სწორად გაიზარდა და ეს თვისება ყველა კვიპაროსის ხეს გადაეცაო... იქნება მართალია ეს ამბავი, იქნება ტყუილი — რას არ გამოიგონებს ადამიანის ოცნება. ლამაზები კი არიან... სალტესავით შემორტყმიან მაღალზე გაშენებულ ბაღს. შტოები ზეცისაკენ მიისწრაფვიან, თითქოს მიწიერი არა უნდათ რაო.

სულ რაღაც გამოურკვეველი ფიქრით არიან გართულნი ეს ხეები და ზღვის სუნთქვასაც ვერ გამოჰყავს ისინი ამ ოცნებისაგან.

დაბლა კი ზღვა გაშლილა. რამდენჯერ ვცდილვარ გარკვევით დამენახა ზღვის ჰორიზონტზე რამე... შეერთებულა ზღვა და ცა... კოცნიან ერთიმეორეს ცივი კოცნით და მეტს ვერაფერს ხედავ, ნაპირზე კი ზღვა ისეთია, თითქოს ახლობელი ვინმე იყოს... გესაუბრება წყნარად, მოგითხრობს შორეულ ამბებს. ხანდისხან გაგულისდება და ფაფარაშლილი ლომივით ეხეთქება ნაპირებს. მაგრამ ისევ მალე წყნარდება, ისევ იწყებს მღერას, რაღაცას მოუთხრობს ნაპირებს, კვიპაროსებს. იქნება აქ მოსეირნე ხალხსაც ეძახის რამეს... ეხ, რას გაიგებს ზღვისას კაცი, ან ამ კვიპაროსებისას რას გაიგებს, ზღვას რომ მაღლიდან გადმოსცქერიან. ესენი ხომ ადამიანები არ არიან, რომ რაიმე გითხრან, გაგაგებინონ...

ხა, ხა, ხა, ხა! განა ადამიანი რამეს გაგაგებინეს, ან გეტყვის რამეს, ან შეგიცოდებს?

გუშინ მე ზღვის ნაპირზე დავხეტიალებდი. წამოუბერა ქარმა და ქუდი ზღვაში გადამიგდო. ვერ ჩავედი წყალში, დახრჩობის შემეშინდა და განწირულად ჩავთვალე ჩემი ერთგული ქუდი, მაგრამ დახეთ ჩემს გაოცებას — ზღვამ ისევ დამიბრუნა ჩემი სიმდიდრე — გამოაქანა ტალღით და ჩემი ქუდი ქვიშაზე გამო-

რიყა. არ წამართვა... ჰოდა, ასე, შენ უთხარი ადამიანს — თუ მოიგდო რამე ხელთ — რას დაგიბრუნებს!

გუშინ, ზღვის ნაპირზე რომ დუქნებია, მათ ცეცხლი მოედო, სანამ მედუქნე ბერძნები ცეცხლს აქრობდნენ, მათი ხილი მთლად დაიტაცეს ღამეში... როგორ მოგწონს? რას გაიგებ ადამიანის ბუნებას!

ბაღი კი აჭრელებულია ფერადი ტანსაცმელებით — მხიარულად დასეირნობს ყველა.

აგერ ორი ჩასუქებული კაცი მოდის. მძიმედ სუნთქავენ, თამბაქოს აბოლებენ და საუბრობენ. ხანდისხან კი გადახედავენ შორიახლო მიმავალ ქალს, მაგრამ, აბა, რას დაუშლის ეს გადახედვა მეგობრულ ლაპარაკს...

— ჰოდა, ამ ზაფხულზე მე აქ წამოსვლა ვარჩიე. აქ უფრო მოვეწყობი — რკინიგზა არის, ზღვა, ჰაერი. დაისვენებ კაცი.

— რასაკვირველია, — ეუბნება მეორე, — დროს მშვენივრად გავატარებთ, — და მრავალმნიშვნელოვნად გადასცქერის უცნობ ქალს, რომელმაც ახლა მათ ჩაუარა.

— არა, ბატონო, აიღეთ ფიზიკა და დაკვირვებით გადაიკითხეთ, თუ რა წერია შიგ. არ იცით-მეთქი, რომ გეუბნებით, ის არის. მე თუმცა დიდი ხანია გიმნაზია გავათავე, მაგრამ არქიმედის კანონი მაინც მახსოვს, — ეუბნება ახალგაზრდა ქალი გვერდით მიმავალ გიმნაზიელს.

— აბა, სხვა მკითხეთ, თუ არ ვიცი... ეს მგონი ჩვენს წიგნში არ წერია, როგორც მახსოვს...

— ნიუტონის კანონი? — და ქალი თვალებში აცქერდება ყმაწვილს, რომელიც თავს დაბლა ხრის და ნელ-ნელა მიყვება ფიზიკის მცოდნე ცირას.

— რა მშვენიერებაა! — ეუბნება ახალგაზრდა ქალი სტუდენტს.

„მშვენიერებაა, მაშ, მშვენიერებაა, ოცნებაა აქ ყველაფერი და შენ კი დაჯექი ამ ბნელ კუთხეში და იფიქრე რაღაც ცხოვრების შინაარსზე და სხვა ამგვარ სისულელეზე!" — გულმოსულად ჩამძახის ვიღაცა.

— დიახ, დიახ, უნდა იფიქრო, მაშ... უნდა დააკვირდე ამ ხალხს, თუ რითი ცხოვრობს ის, რა აინტერესებს, უნდა გაიგო მაღლიდან. უნდა ამაღლდე ცხოვრებაზე და ობიექტურად შეხედო ყველაფერს.

— აბა, — ამბობს მეორე ხმა.

მელანქოლია... მელანქოლია...

ოხო, ამ ორ ჩასუქებულ კაცს აკი გაუცნიათ ის ქალი, მათ წინ რომ მიდიოდა. ორივეს კმაყოფილება ეტყობა სახეზე, ცოცხლად ლაპარაკობენ...

— როგორ გეკადრებათ? — ამბობს ერთი, — ღამის ათ საათზე ცურაობას რა სჯობია, ჩვენ ყოველთვის ათზე ან ცხრა საათზე ვცურაობდით ხოლმე... შარშან აქ ოჯახობა მყავდა, ათ საათზე ვცურაობდით ყოველდღე... მშვენიერი წყალია...

— საინტერესოა, — ღიმილით უპასუხებს ქალი, — მე კი არ მეგონა, თუ აქ ღამის ათ საათზე შეიძლება ცურაობა. სად შეიძლება იცურაოს კაცმა? — განაგრძობს ის ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — მეც ვიცურავებდი, თუმცა ძალიან მეშინია...

— რას ბრძანებთ! — ერთხმად იკვირვებენ კაცები. — ჩვენ იქ არ ვიქნებით?.. ესე იგი, ჩვენ იქვე ახლო ვცურაობთ გადახურულში...

— ხა, ხა, ხა, ხა, ღამის ათ საათზე... მაშ ასე და ასე: ამ საღამოს ათ საათზე ვიცურავებთ, არა? ჰო, კაი საცურაოა, რა უჭირს... არც სიცხე დასწვავს თქვენს ნაზ კანს. ნეტა რას ფიქრობს ზღვა ათ საათზე ცურაო-

ბის შესახებ. ჯერ ძალიან წყნარად არის: ალბათ, მიეჩვია ათ საათზე მოცურავე ხალხს... ხა, ხა, ხა...

აი, აგერ სტუდენტი და ახალგაზრდა ქალი.

— მართალი უნდა ვთქვა, მე ბუნება არ მიყვარს, — ამბობს, სტუდენტი.

— როგორ? — განცვიფრებით ეკითხება ქალი.

— ბუნება ჩვენ პირველყოფილ მდგომარეობას გვაახლოებს და...

— Что вы говорите, Яша, это же дико! ბუნება სიცოცხლეა ჩვენი, სილამაზე, მშვენიერება... ის დაფარული აზრია ჩვენი ცხოვრების, — აღელვებით ეკამათება იაშას ქალი.

— ფილოსოფიური მსჯელობაა, „დაფარული აზრი".

დიახ, ყმაწვილო, ბევრ რასმე ნიშნავს „დაფარული აზრი". აი, თქვენი ჩაკიდებული ხელები ახლა დაფარული აზრით ლაპარაკობენ, თუმცა თქვენი ენა სულ შორს არის ამ „დაფარული აზრისაგან..." ხა, ხა, ხა.

და განა ამ ხალხში ყველა დაფარული აზრით არ ლაპარაკობს... არც ერთი იმას არ ამბობს, რაც გულში აქვს. ბევრ კარგ და ლამაზ სიტყვას ამბობს აქ ენა, მაგრამ გული აქ სულ სხვას გაიძახის, აქ ყველა ატყუებს ერთიმეორეს, რადგან აქ გამოფენაა და საქონლის გარეგნობას ხომ მეტი ფასი აქვს.

— ქალბატონო, ცხვირსახოცი დაგივარდათ! — ეძახის ქალს მოხუცი მებაღე, რომელიც თავისი დაკოჟრებული ხელებით სათუთად აშორებს ბალახს ნაზ ყვავილებს.

— გმადლობთ, ბაბუა! — ეძახის ქალი და ისევ მიჰყვება ახალგაზრდა სტუდენტს. სტუდენტი ისევ იმას ამტკიცებს — ბუნება ცუდ გავლენას ახდენსო ადამიანზე.

აგერ მუშები ჩამოჯდნენ. როგორი თვალით უყურებენ მათ. რად არ წავლენ ნეტავი ამ ბაღიდან,

როგორი დისონანსი შემოაქვთ მათ აქ. ჭრელ სპარსულ ხალიჩას რომ უფერული ტალახის ლაქა დააცხო, ისე არიან ამ ბალში. აბა, ჰკითხეთ ამ ხანში შესულ ქალს, რომელიც რაღაც ჯოხზე წამოცმული სათვალეებით იხედება. როგორ აიშვირა ცხვირი, მათ რომ შეხედა. ისინი კი არ ფიქრობენ, თუ რა უსიამოვნებას აყენებენ „წმინდა საზოგადოებას“.

— ერასტიას რო საქმე მოუვიდა, კაცო, დღეს... დეეცა ი რეიცის რკინა ხელზე და ორი თითი ჭიქასავით მოაფშვნა...

— აბა, მერე რა მწარეა, ის ოხერი დაბეჟილი ხორცი.

— დაბეჟილი კი არა, სულ მოტეხილია ორი თითი.

ამგვარ ლაპარაკში არიან ისინი, დაბლიდან კი მხიარული ხარხარი და სიმღერა მოისმის.

По улице ходила
Большая кро-ко-ди-ла.
Тра-ла...

მოისმის ქალის ხმა...

— აბა, ჰე, ვინ უფრო დიდხანს გადავიხარხარებთ, ჰე... ხა, ხა, ხა., — და ხარხარებენ ზღვის ნაპირებზე...

— ეხ, ჩემო ძმაო, ცხოვრება მაგათია... და, — ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ, ადგა და წასვლა დააპირა, მას სხვებიც აჰყვნენ და ყველანი გავიდნენ.

— შეიძლება დავსხდეთ ამ სკამზე? — კითხულობს ორი ქალიშვილი.

— დაბრძანდით.

— მშვენიერი საღამოა დღეს.

— არა უშავს რა.

— რად სწევთ ამდენ თუთუნს, ჩვენ რამდენჯერ გავიარეთ და თქვენ სულ თუთუნსა სწევთ, არ განყენთ?

— თამბაქო? ჰმ... თამბაქო წამალია მელანქოლიის... მშვენიერი თუთუნია. თქვენ მართლა გგონიათ, რომ თუთუნი მაენებელია?

— რასაკვირველია.

— თქვენ იცით ნიუტონის კანონი?

ქალები გაშტერებულნი მომჩერებიან... უცბად წამოხტნენ და სიცილით გაექანენ... წავიდნენ...

— დურაკ... — მოისმა მათი ხმა და სიცილი.

ეეე, გაუგებარი ხალხია ეს მოსეირნე საზოგადოება... აბა, რათი ვარ მე „დურაკი"? ეკითხე, თუ იციან ნიუტონის კანონი... აქ წინათ რომ ქალმა გაიარა, იმან იცოდა, მეინტერესებოდა, ამათაც იცოდნენ თუ არა. წავალ სახლში, ანდა გავუდგები ზღვის ნაპირს.

რას დაწყნარებულხარ, ჩემო ზღვაო, ა?

აახმაურე ერთი შენებურად ქოჩორა ტალღები, გადმოლახე ნაპირი და შესძახე ზევით მოსეირნე ხალხს, დროა სახლში წასვლისა.

რაო? ღმერთმანი არაფერი არ მესმის დღეს ამ ზღვის ლაპარაკის, დუდუნებს ჩუმად და ვერაფერი ვერ გამიგია.

დავჯდები ისევ ჩემს ოთახში და ვიკითხავ. ალბათ, ის ახალგაზრდა გიმნაზიელიც ჩაუჯდება ამაღამ ფიზიკას და სხვის კანონებს კი არა, საკუთარ კანონებსაც გამოიგონებს.

ასეთია ახალგაზრდობა. არ გამოიგონებს ახალ კანონებს, როდესაც მას თვალუუუნა მოისურვებს? გამოიგონებს, გამოიგონებს.

ჰმ... მელანქოლია, მელანქოლია... ვივლი ამ ზღვის პირას ისევ, ვივლი, სანამ არ დავიღლები.

1916

სამარადისო გზაპვარი

ისინი სამნი იყვნენ.

არვინ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი, რისთვის დადიოდნენ ასე, ან საიდან მოდიოდნენ.

მრავალი ტანჯვა-წამება გამოეევლოთ მათ დღე-ღამ გზაში წანწალით. ფეხთ არ ეცვათ, თავს არ ეხურათ, ტანსაცმელი მათი ძონძებად ქცეულიყო.

და ისხდნენ ისინი ერთხელ გზის პირას, ისვენებდნენ, რათა ცოტა ხნის შემდეგ ისევ შესდგომოდნენ ძნელსა და ულეველ გზას. ამ დროს დაინახა ისინი მოხუცმა მგზავრმა და ჰკითხა: — საიდან მოდიხართ, ან სად მიდიხართ თქვენ, მოგზაურნო? წყნარად უპასუხეს მათ, რომ მოდიან იმ ქვეყნიდან, სადაც სუფევს მეუფება წყვდიადისა, სად ისმის მხოლოდ მოთქმა და წყევლა; მოდიან იქიდან, სადაც ნაკადულივით იღვრება მნარე ცრემლი და სისხლის ღვარი, სადაც ფრთაგაშლილი სიკვდილი თავს დასტრიალებს ადამიანთ და შემზარავი ხარხარით უწამლავს მათ წუთებს ცხოვრებისას; და კიდევ უპასუხეს მათ, რომ სად მიდიან, თვით არ იციან. მხოლოდ ეძიებენ ქვეყანას, სადაც არ არის ცრემლი და ტანჯვა, სად არ ისმის საშინელი

ხარხარი სიკვდილისა, სად ბედნიერი ადამიანი სიხარულით ეწაფება მჩქეფარე ტალღებს სიცოცხლისას...

კიდევ დიდხანს უსმენდა მოგზაური მათ მოთხრობას შორეული ქვეყნის შესახებ, საიდანაც მოდიოდნენ ისინი, უსმენდა იმ ქვეყნის ამბავსაც, სადაც ახლა მიდიოდნენ...

ჭმუნვა და სევდა მოჰგვარა მოხუცს უცხო კაცთა სიტყვამ და ასე უთხრა მათ:

— ტყუილად მიდიხართ თქვენ იმ ქვეყნად და ტყუილად ეძებთ მას... ვერასოდეს ვერ ნახავთ თქვენ იმ ქვეყანას, ვერ იხილავთ იმგვარ მხარეს, სადაც არ მეფობდეს კვნესა და ტანჯვა. ვერ იხილავთ ქვეყანას, სადაც იქნება ბედნიერება და სიყვარული. არ არსებობს ეგეთი ქვეყანა ახლა. ხოლო ამბობენ კი, რომ ძველად ყოფილა. იყო თურმე ეგეთი ქვეყანა... დედამიწა ერქვა სახელად, მხოლოდ ახლა... ნუ დაეძებთ იმ ქვეყანას, ვერ იპოვით მას.

— არ შევსდგებით ჩვენ, — მიუგეს მას მგზავრებმა, — ჩვენ ვივლით... ჩვენ უსათუოდ ვიპოვით მას. ჩვენ ვეძიებთ.

— მეც ვეძიებდი. მეც გადავიარე ის მთები, შორეული ზღვები და მდინარეები. მივდიოდი სულ წინ... ვეძიებდი, მაგრამ ხედავთ: უკან დავბრუნდი და ისევ ჩემს ქვეყანაში მიდივარ. დავბრუნდი.

და გველის სისინივით შეიჭრა მათ გულში ეჭვი გამარჯვებისა... წუთით შესდგნენ მოგზაურნი, მაგრამ უცბად ზეზე წამოდგნენ და ასე უთხრეს მოხუცს:

— ჩვენ წავალთ... იქნებ ჩვენ ვნახოთ, — და გაუდგნენ გზას, შორეულ გზას უცხო ქვეყნისაკენ.

გავიდა ხანი.

ისინი მიდიოდნენ წინ, სულ წინ, ხოლო ვერსად ვერ იპოვეს მათ სანეტარო ქვეყანა იგი. და შეიმოსა

თეთრი ჭალარით მათი თმა და წვერი და მოიღალა მუხლი მათი და მიწისკენ დაიხარა წელი მოგზაურთა. ვეღარ შესცქეროდნენ ისინი ზეცას ისე ამაყად, როგორც წინათ, და წელში მოხრილნი თითქოს დაკარგულ რასმე ეძებენო, მიწას დასცქეროდნენ ისინი. მოიქანცა სხეული მათი... ძიებისაგან დაიღალა მშფოთავი სული და ძველ ტანჯვას მიემატა ახალი... გაცრუებულმა იმედებმა კიდევ ერთი ღრმა იარა დააჩინეს მათ გულს და პირი იბრუნეს მოგზაურთ, დაბრუნდნენ იმ ქვეყანას, საიდანაც წამოვიდნენ მრავალი წლის წინათ...

ძველი გზით ბრუნდებოდნენ ისინი და მწარე ფიქრებში გართულნი თანდათან უახლოვდებოდნენ თავიანთ მხარეს და იმავე გზაზე შეხვდა მათ ჯგუფი ვაჟკაცთა — ისინი მიდიოდნენ სიმღერითა და სიცილით. სწრაფი იყო ნაბიჯი მათი. დიდი იყო სურვილი და ძლიერი იყო ძალა სულისა. გაიგეს მოხუცთ, რომ ახალგაზრდანი მოშორებიან ტანჯულ ქვეყანას, რომ მათ სურთ იხილონ სხვა ქვეყანა, ახალი ქვეყანა, სადაც სუფევს სიყვარული და ბედნიერება. და მყისვე აუწყეს მოხუცებმა ყმანვილთ, რომ ამაოა ყოველივე, ტყუილია ძიება და შრომა, რომ ვერასოდეს ვერ იპოვნიან ახალგაზრდა მაძიებელნი სანატრელ ქვეყანას... აცნობეს ყმაწვილთ მოხუცებმა, რომ ისინიც ეგრე ეძებდნენ ქვეყანას ბედნიერებისა და სიყვარულისას, მაგრამ ახლა დაღლილნი და დაქანცულნი ბრუნდებიან შინ, ვერსად ჰპოვეს ის ქვეყანა. მაგრამ დიდი იყო იმედი ვაჟკაცთა გულში, სწრაფი და ღონიერი იყო ფეხი მათი და გაბედულად სცემდა გული მათი.

და გაუდგნენ ისინი გზას, შორსა გზას... შორეული სანატრელი ქვეყნისაკენ.

* * *

განვლო წლებმა... გაიარა მრავალმა საუკუნემ... ამ გზაზე ბევრჯერ ხვდებიან ერთიმეორეს მიმავალნი — მაძიებელნი სიყვარულის და ბედნიერების ქვეყნისა და მომავალნი — უშედეგო ძიებისაგან დაღლილნი. და მოუთხრობენ ურთიერთს ისინი თავიანთ მწუხარე ამბებს...

ამ წელთა და საუკუნეთა სრბოლაში არ ყოფილა ისეთი წუთი, რომ დაბრუნებულს ეთქვას მაძიებელთათვის:

— გიხაროდენ, შვილნო ტანჯული მიწისა, ჩვენ ვიპოვეთ ქვეყანა ბედნიერებისა და სიყვარულისა.

არ ყოფილა ასეთი ჟამი.

და ვით შეუწყვეტელია თვით ტანჯვა, ვით სამარადისოა წუხილი და ცრემლი, ვით შეუჩერებელია სურვილი და აზრი ადამიანისა, ისე შეუწყვეტლივ მიდიან და ეძიებენ ადამიანები იმ ქვეყანას და ისევ მოდიან დაღლილნი და წელში მოხრილნი და მრავალ წელთა და საუკუნეთა სრბოლაში არ ყოფილა წუთი იგი სანეტარო, რომ დაბრუნებულს ეთქვას მიმავალთათვის:

— გიხაროდენ, შვილნო ტანჯული მიწისა, მე ვიპოვე ქვეყანა ბედნიერებისა და სიყვარულისა.

არ ყოფილა ისეთი ჟამი საუკუნეთა განმავლობაში.

ისინი კი მიდიან, სულ მიდიან, ვით ფრინველთა გუნდი, თბილ ქვეყანაში გადაფრენის დროს.

სულ მიდიან...

საარჩევი

სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმული (**მ. ჩიტიშვილი**) 3
მთებში 19
ჩვენ — „ცისფერი ყანნები" 21
ჩემი ვინაობა 22
ვალერიან გაფრინდაშვილს 24
სურათი 26
დღეს 27
ჩემი მნევრები 28
განწირული სტრიქონები 29
* * * როდესაც ვითვლი კბილებს ჩაცვენილს 30
* * * სადა ხართ, ძმებო 31
გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაშვილს 32
დეკემბრის აგონია 33
ავტოპორტრეტი 34
ფანტასტიკური ქორწინება 35
სამგლოვიარო მარში 36
წითელი გველი 38
გამოთხოვება 39
დღე ღრუბლიანი 40
* * * ხელიდან ხელში გადადის გაზეთები 41
ბალლადა მოგონილი 42
უცხო ასული 43
გული — თუთიყუში 44
ვის უნახავს სამშობლო საქართველოში 46
* * * მე ავაშენე სიყვარულის უცხო ტაძარი 47
ატორტმანებული სიზმარი 48
სიყვარულს 49
შავი ვარსკვლავი 50
* * * გქონდა სამშობლო საყვარელი და — მიატოვე 51
მოგონება 52
თვალები მტვერში 53
უეცრად გამოღვიძება 54

როგორც ეპიტაფია 55
რუსთაველი 56
ნაგებული ბიოგრაფია 58
ხატი ძახთაპირი 59
მეტად უნუგეშო პეიზაჟი 61
წმინდანიანი 63
ჩიბის 65
სონეტი 66
კოჭლი გული ბარათაშვილის 67
საქართველოს მზიან სერებზე 68
ერთადერთი სონეტი 69
ძველი ლირიკა 70
სამშობლოს 71
პოეტს 72
გაზაფხულის შემდეგ 73
უსახო ველი 74
განწყობილება 75
პრომეთეოსი გამარჯვებული 77
ბორგავს არაგვი 80
დილა 82
ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი 84
ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს 86

მინიატურები

სიყმაწვილე 89
მე ვარ „ადამიანი“ 91
წინ, სიკვდილისაკენ! 95
პეპელა 98
სიცოცხლე... სიცოცხლე! 100
უხილავს 103
ისინი ცხოვრებას ქმნიან 106
წუთები ცხოვრებისა 109
ყოველივე წარმავალია 111
Memento Mori 115
მთის მდინარე 118
მდუმარება 120
სიზმარი 122
მელანქოლია 126
სამარადისო ზღაპარი 134

ფოტო გარეკანის უკანა გვერდზე:

სხედან (მარცხნიდან): კოლაუ ნადირაძე, ანდრეი ბელის მეუღლე, პაოლო იაშვილის მეუღლე – თამარი, ტიციან ტაბიძის მეუღლე – ნინო მაყაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი;

დგანან: ტიციან ტაბიძე, ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი.

საგამომცემლო ჯგუფი

ლაშა გადელია
თეა გაბუნია
ლიკა სხირტლაძე
მართა წიკლაური

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

გამომცემლობა ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
inteleqti@telenet.ge